პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.

ტელეფ.
რედაქტორის . . . 14 76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34 ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო ვადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68. ტელ. 5—43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- პილსუდსკი ომისათვის ემზადება.
- ერიოს აშინებს რევოლიუცია.
- დეტერდინგი კვლავ ამოქმედდა.
- გერმანიის კომპარტიის გავლენა იზრდება.

ოთხშაბათი, 11 თებერვალი 1931 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 35 (2990)

12 თებერვალს საღამოს 6 საათზე საქ. სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება

საქ. კ. პ. (ბ) მე-7 მოწვევის ცეკას მე-4 პლენუმი

ა.-კ. საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საკონტროლო კომისიის, ცენტრალური კომიტეტის და ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით. პლენუმის დანარჩენი მონაწილეები შესასვლელ ნებართვებს მიიღებენ საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. რაიკომებში.

პლენუმისათვის მასალების მიღება ცეკას წევრებს და რაიკომების მდივნებს შეუძლიათ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში 12 თებერვალს, დილის 10 საათზე.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მდივანი ს. მამულია.

მტკიცედ განვახორციელოთ საოლქო კომიტეტის მიმართვა

ხუთწლედის მესამე წელმა უნდა უზრუნველყოს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება. მიმდინარე წელს უნდა შესრულდეს ხუთწლიანი გეგმა ძირითად, გადამწყვეტ დარგებში. ყოველივე ეს მოითხოვს მუშათა კლასის ძალების აქტიურად დარაზმვას სოციალისტური მშენებლობის უდიდეს ამოცანების ირგვლივ, შრომის სოციალისტურ ფორმების მეტ გაშლას და გაალმასებულ ბრძოლას ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ტემპების შენელებას. პირველ რიგში საჭიროა თვით პარტიის რიგების შემჭიდროება და ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის ურყევად განხორციელებისათვის. ხუთწლედის გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის ქვედა ორგანოებს, კომუნისტური უჯრედების მუშაობას ქარხანაში, ფაბრიკაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, სამანქანო - სატრაქტორო სადგურში, კოოპერაციაში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვაგან. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად გარდაქმნეს ძირეულ საფეხურის პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობის ფორმები და მეთოდები, რამდენადაა შეფარდებული ამ ორგანოების მუშაობა რეკონსტრუქტიული პერიოდის ამოცანებთან.

პარტიის ქვედა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს საკ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტი თავის მიმართვაში, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა. პარტიის ქვედა ორგანოების საგადარჩევო კამპანია ამიერ - კავკასიაში ტარდება 15 თებერვლიდან 1 აპრილამდე. ამ გადარჩევებმა მთელი პარტიული მასის ყურადღება უნდა მიიპყროს და მიღებულ უნდა იქნას ყოველივე ზომები, რათა უზრუნველვყოთ ქვედა პარტიული ორგანოების გადარჩევების ბოლშევიკურად ჩატარება, ეს გადარჩევები უნდა გამოვიყენოთ პარტიის ავტორიტეტის მშრომელთა ფართო მასებში ზრდის და ამ მასების პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ მჭიდროთ დარაზმვისათვის.

ამიერ- კავკასიის ბოლშევიკებმა გასულ წელს უდიდესი მიღწევები მოიპოვეს. ს.მ.უ.ს. მიერ დაგეგმილი მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა, როგორც ნათქვამია საოლქო კომიტეტის მიმართვაში, ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით **54** პროცენტით, კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა **60** პროცენტით, სახელმწიფო ბიუჯეტი **54** პროცენტით, ტექნიკური კულტურების ნათესის ფართობი **30** პროცენტით, კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა პროცენტმა 1928-29 წლის 1,4 პროცენტიდან ხუთწლედის მეორე წელს აიწია **17,6** პროცენტამდე. ნავთის წარმოებამ, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. ნავთის ამოღება ხუთწლედის მეორე წელს გაიზარდა **19,5** პროცენტით და მან **40 პროცენტით გადააჭარბა 1913 წლის ამოღებას. ამ გამარჯვებათა საფუძველზე გაიზარდა მუშათა რეალური ხელფასი.**

მაგრამ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ ამ უდიდეს მიღწევათა მიუხედავად არ არის მაინც შესრულებული ხუთწლედის მეორე წლის ყველა რაოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. (მაგ. 1930 წლის გეგმა მთლიანად არ არის შესრულებული ნავთის, ბამბის, ჩაის და სხვა დარგებში). ეს იმის მაჩვენებელია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადოთ ვერ გაშალეს თავიანთი მუშაობა ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შესასრულებლად. მათ მიუხედავათ იმისა, რომ მოეპოვებოდათ ყველა რეალური შესაძლებლობანი ამ გეგმის შესასრულებლად, ვერ უზრუნველჰყვეს, იმიტომ, რომ „არ აღმოაჩნდათ უნარი სწორი ხელმძღვანელობა გაეწიათ“ (სტალინი) მეურნეობისათვის — იმრიგად, რომ ეს რეალური შესაძლებლობანი განეხორციელებიათ, არ ეყოთ უნარი ბოლშევიკურად ებრძოლათ ტემპებისათვის, არ ეყოთ უნარი სათანადოთ დაერაზმათ მასების აქტივობა და სათავეში მოქცეოდნენ მას". (საოლქო კომიტეტის მიმართვიდან).

ჩვენ ვიცით, მაგ., თუ როგორ ჩაშალა ოპორტუნისტულმა პრაქტიკამ, უპასუხისმგებლობამ და საქმისადმი გულგრილობამ ჩაის საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის გეგმა. საქართველოს ჩაის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა იმის საუკეთესო ნიმუშია. თუ მასებისაგან მოწყვეტილობა და ბიუროკრატიულობის გამო როგორ ვერ იყენებენ ხშირად მეურნეობის ამა თუ იმ დარგში მომუშავე კომუნისტები უდიდეს ობიექტიურ შესაძლებლობებს.

საოლქო კომიტეტის მიმართვა მოითხოვს, რათა კომუნისტების მუშაობა არსებითად გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში, ყველა საწარმოო ერთეულში, ყველა დაწესებულებაში (ქალაქად თუ სოფლად), მრეწველობაში თუ ტრანსპორტზე. ამის გარეშე შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის ფართო გეგმის განხორციელება, ხუთწლიანი გეგმის მესამე წელში შესრულება ძირითად დარგებში.

ამიერ - კავკასიის ბოლშევიკების წინაშე ხუთწლედის მესამე წელში უდიდესი დავალებანი სდგას. ეს დავალებანი ბევრად დიდია, ვიდრე ეს გასულ წელს იყო, რადგან ბევრად სწრაფია სოციალისტური მშენებლობის ტემპი, რომელიც ხუთწლედის მესამე წლისათვის არის აღებული და ამ ტემპს ჩვენ წინააღმდეგ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებისა არავითარ შემთხვევაში არ შევანელებთ. ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების ეს გეგმა გულისხმობს **15.327.000** ტონა ნავთს, ა. კ. ს. მ.უ.ს. მიერ დაგეგმილ მრეწველობის პროდუქციის ზრდას **63** პროცენტით —ა.-კ. რკინის გზის ტვირთბრუნვას **12.000.000** ტონამდე, ბიუჯეტის ზრდას **50** პროცენტით, **1.500.000** ჰექტარ საგაზაფხულო ნათესს, **400** ათას ჰექტარ ტექნიკურ კულტურებს, **250.000** ჰექტარ ბამბას, მებამბეობის რაიონების **50** პროც. კოლექტივიზაციას, ხოლო მხარის ყველა გლეხურ მეურნეობათა **20-25** პროცენტით კოლექტივიზაციას.

ამ ბუმბერაზული გეგმის განხორციელება პირველ რიგში მოითხოვს ქვედა პარტიული ორგანოების განმტკიცებას და მათ ყოველმხრივ გაძლიერებას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო და სოფლის უჯრედების ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევას. გადარჩევის შედეგად უზრუნველყოფილი უნდა იქნას ფაბრიკა - ქარხნების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და სოფლის სხვა უჯრედების მიერ უმჯობესი ბრძოლა ხუთწლედის გადამწყვეტი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესასრულებლად. ამ დავალებათა შესრულების მთავარ პირობას კი წარმოადგენს ოპორტუნისტული პრაქტიკის დაუნდობლად აღკვეთა, ბრძოლა კლასობრივი მტრის ყოველგვარ მავნებლურ ცდების უკუგდებისათვის, სოციალისტური მშენებლობის, დამკვრელობის და საზოგადოებრივი ბუქსირის ფართოდ გაშლა, ერთმმართველობის მტკიცედ გატარება, გაძლიერებული ბრძოლა წარმოების როგორც რაოდენობითი დავალებათა, ისე ხარისხობრივი მაჩვენებელთა შესასრულებლად, კომუნისტების მიერ წარმოების ტექნიკის, ეკონომიკის და ფინანსების დაუფლება, საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესება და სხვა.

ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევები ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რათა საკითხი პარტიული ორგანიზაციების მიერ სამეურნეო ერთეულების კონკრეტული ხელმძღვანელობისა რაც შეიძლება პოპულიარული გავხადოთ მთელი პარტიული მასისათვის. **„ბოლშევიკი უნდა გახდეს ორგანიზატორი, სპეციალისტი იმ დარგში, იმ მუშაობაში, რომელიც დააკისრა მას პარტიამ.** ბოლშევიკმა ღრმად და დაწვრილებით უნდა შეისწავლოს ყოველი კონკრეტული საქმე. ამაშია იმის გარანტია, რომ კომუნისტების როლი, როგორც წამყვანის ორგანიზატორებისა წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატში, უმაღლეს სასწავლებლებში არ იქნება განსაზღვრული ეგრედწოდებული საერთო ხელმძღვანელობით, გრძელი ცირკულიარების და ინსტრუქციების წესით. ასეთ პირობებში არ მოხდება ის, რომ მათ ვერ შეამჩნიონ საქმე, რომელსაც უცხო ელემენტები და მავნებლები აკეთებენ და რომელიც ხელს უშლის პარტიის მნიშვნელოვანი დირექტივების განხორციელებას და აფერხებს ჩვენი გეგმების შესრულებას“ (საოლქო კომიტეტის მიმართვიდან).

ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევებმა უნდა უზრუნველყონ მთელი პარტიული მასის აქტიური დარაზმვა, მემარჯვენე გადახრის, როგორც ეხლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, „მემარცხენე“ გადახრის და მისდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ. ამ გადარჩევებმა უნდა უზრუნველყონ პარტიული მასის, მთელი მუშათა კლასის მეტი კლასობრივი სიფხიზლე, ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო განმტკიცება, ულმობელი ბრძოლა დიდმპყრობელური და ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ და გადამწყვეტი შეტევა კაპიტალიზმის ელემენტების წინააღმდეგ.

გადარჩევებმა უნდა დარაზმოს მთელი პარტიული მასის ყურადღება მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად და ამგვარად სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დასამთავრებლად. განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლად. ამიტომ პარტიული ორგანოების გადარჩევები უნდა გამოვიყენოთ იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მედგრად იბრძვიან სოფლად კომუნისტები საკოლმეურნეო მშენებლობაში მემარჯვენე - „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ, რამდენად ხელს უწყობენ არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებას, საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი ტალღის აზვირთებას და ღარიბ და საშუალო გლეხთა დარაზმვას კულაკობის წინააღმდეგ. სოფლის კომუნისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი მთავარი ამოცანებია გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარება, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტული პრაქტიკის გადაჭრით აღკვეთა, მეტი ყურადღების მიპყრობა კონტრაქტაციისადმი, საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლა და სათანადო პირობების მომზადება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

მთელი ყურადღება ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევას. ამოვირჩიოთ ქვედა პარტიულ ორგანოებში ყველაზე საუკეთესო კომუნისტი—დამკვრელები, კოლმეურნეები, ყველაზე მტკიცე მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე წლის მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის, ამიერკავკასიის ფედერაციის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფართო გეგმის და ყველა ფრონტებზე გაშლილი სოციალისტური შეტევის პროგრამის ბრწყინვალეთ გატარებას.

დავრაზმოთ მშრომელ ქალთა მასები სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის

ამხ. ლ. ქართველიშვილის სიტყვა ა.-კ. პარტთათბირზე ქალთა შორის მუშაობის შესახებ

ამხ. ლ. ქართველიშვილი

თქვენმა თათბირმა უნდა გადასჭრას ძირითადი საკითხი: რა უნდა გააკეთონ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ქალთა სექტორებმა რაიონებსა და ქალაქში მუშა ქალებსა და მშრომელ გლეხ ქალებს შორის მუშაობის დროს. რომელიმე ჩვენთაგანმა რომ სცადოს ამ ამოცანების განსაზღვრა პარტიის საერთო ამოცანებისაგან დამოუკიდებლად, ეს უდიდესი შეცდომა იქნებოდა. იმისათვის, რომ პასუხი გავსცეთ კითხვას — რა უნდა აკეთონ ქალთა სექტორებმა, საჭიროა უწინარეს ყოვლისა ნათლად, სწორად და ზუსტად გამოვარკვიოთ, რა უნდა აკეთონ საერთოდ ამიერ - კავკასიის ბოლშევიკებმა, საჭიროა გამოვარკვიოთ, რა პრაქტიკული ამოცანებია დასახული ჩვენი ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე.

ამ კითხვაზე ნათელი, მტკიცე და ზუსტი პასუხის გაცემა ნიშნავს ამომწურავი პასუხის გამონახვას პირველი კითხვისათვის — როგორი მუშაობა უნდა აწარმოონ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მუშა ქალებსა და მშრომელ გლეხ ქალებს შორის. თუ ქალთა სექტორების მუშაობას არ დავუკავშირებთ პარტიის საერთო მუშაობას, დავიბნევით, ვერ წავალთ სწორი გზით, გადავუხვევთ გზაზე, არსებითად უკან დავიხევით.

რა ამოცანებია დასახული ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე? პასუხი ერთია: პარტიის გენერალური ხაზის მთლიანად ცხოვრებაში გატარების ამოცანა. ასეთი განსაზღვრის წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს ვერ იტყვის, მაგრამ აქ ჩვენ დაავადებული ვართ ერთი დიდი სენით — ყველა კრებებზე ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ვალდებული ვართ და უნდა ვიბრძოლოთ პარტიის გენერალური ხაზისათვის, მისი მთლიანად განხორციელებისათვის. მაგრამ თუ დავსვამთ კითხვას — რას ნიშნავს ამიერ-კავკასიის პირობებში პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლა, რა პრაქტიკული ამოცანები უნდა გადავსჭრათ ამ ბრძოლაში, — ამომწურავ, გარკვეულ პასუხს ვერ მივიღებთ ბევრისაგან, რომლებიც პარტიის ხაზს აძლევენ ხმას.

რას ნიშნავს პარტიის გენერალური ხაზის გატარება ცხოვრებაში? რა კონკრეტულ ამოცანებს გვისახავს პარტიის გენერალური ხაზი 1931 წლისათვის, რა ძირითადი ამოცანების გადაჭრა მოგვიხდება აქ? ეს უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს 15 მილიონ ტონა ნავთს, 250 ათას ჰექტარ ბამბას, 1.500.000 ჰექტარ მარცვლეულის ნათესს.

ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის ამავე დროს ნიშნავს ს.მ.უ.ს. გეგმებლობაში არსებულ მრეწველობის პროდუქციის გადიდებას 66 პროცენტით; ეს ნიშნავს ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ფასების შემცირებას 10 პროცენტით; ეს ნიშნავს წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებას რაც შეიძლება ფართოდ. ჩვენ ამოცანად ვისახავთ მოვახდინოთ ამიერკავკასიის მეურნეობათა 20-25 პროცენტის კოლექტივიზაცია. მებამბეობის რაიონებში ამოცანად ვისახავთ ყველა მეურნეობათა 50 პროცენტის კოლექტივიზაციას. ყველა ამ ამოცანების და თვითეულის ცალკე გადაჭრა არის სწორედ პარტიის გენერალური ხაზის განხორციელება პრაქტიკაში.

ამიერ - კავკასიის ორგანიზაცია სდგას დიდი და უძნელესი ამოცანების წინაშე. ამ ამოცანების გადაჭრას კიდევ უფრო აძნელებს ის, რომ ჩვენი ორგანიზაციები ვერ შეეჩვიენ საერთო ხაზის დაკავშირებას პრაქტიკულ მუშაობასთან. ამიერ - კავკასიის ბოლშევიკებმა უნდა გაარკეცონ, გაასამკეცონ, გაათკეცონ თავიანთი ენერგია ყველა ამ გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად. თუ ჩვენ ამ გეგმებს შევასრულებთ, მაშინ უფლება გვექნება განვაცხადოთ, რომ ჩვენ კარგი ბოლშევიკები ვართ, ზუსტად და პატიოსნად ვატარებთ ცხოვრებაში პარტიის გენერალურ ხაზს. თუ ვერ შევასრულეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ არაფრად არ ვარგვართ, ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდი ბოლშევიკები ვართ, ვერ მოვმწიფდით, არ შეგვიძლია ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის. ეს პირდაპირ უნდა ითქვას.

როგორ უნდა დავძლიოთ ეს ამოცანები? და რას ნიშნავს მათი დაძლევა? ეს ნიშნავს მივსცეთ ჩვენს ქვეყანას ნავთი, ბამბა, შევასრულოთ ყველა ჩვენი ვალდებულებანი. როგორ შეიძლება ამ ბუმბერაზული რაიონებში. ამ ამოცანებს ჩვენ შევა-

ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფა? რა თქმა უნდა, არა იმით, რომ ა.-კ. საოლქო კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტები, რაიონული კომიტეტები დაიწყებენ ცირკულიარების წერას და მათ გაგზავნას სრულებით მხოლოდ ერთი პირობით — თუ მასებს დავარაზმავთ როგორც საჭიროა, ბოლშევიკურად.

რას ნიშნავს ნავთის გეგმის შესრულება? ეს ნიშნავს ათეული ათასი მუშის დარაზმვას და სათავეში ჩადგომას მათ ბრძოლაში 15 მილიონი ტონა ნავთისათვის. ამიერ - კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ შესწევთ ძალა დარაზმონ ათეული ათასი მუშა ნავთის გეგმის შესასრულებლად. უნდა განვამტკიცოთ დისციპლინა, სწორედ გავანაწილოთ ჩვენი ძალები ქარხნებში, სარეწაოებში და იმ მუშაობის ყველა დარგებში, რომელიც სწარმოებს გადამუშავებისათვის, ექსპორტისათვის და სხვ.

რას ნიშნავს 250.000 ჰექტარი ბამბის დათესვა? ეს პირველ ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ბოლშევიკებმა უნდა შევაკავშიროთ ასეული ათასი გლეხი, რათა ისინი ჩვენთან ერთად გამოვიდნენ მინდორში და დათესონ 250.000 ჰექტარი ბამბა. ჩვენ უნდა წავიდეთ ამ მასებში, დავსვათ მათ წინაშე ეს საკითხი და გავიყოლიოთ ისინი. კულაკები ამჟამად გააფთრებულ აგიტაციას ეწევიან გლეხებში ბამბის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა დავრაზმოთ ღარიბი და საშუალო გლეხობა, რათა დავძლიოთ კულაკის წინააღმდეგობა და მთლიანად შევასრულოთ ბამბის პროგრამა.

რას ნიშნავს 35.000 ტონა ხორცის დამზადება წელს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ფართო მუშაობა უნდა ვაწარმოოთ მშრომელ გლეხებს შორის, რათა მივიღოთ ეს 35.000 ტონა და მით უზრუნველვყოთ ჯარის და მუშების ნორმალური მომარაგება, რომლებიც იბრძვიან ხუთწლედის 4 წელში შესრულებისათვის.

რას ნიშნავს 1.500.000 ჰექტარის დათესვა ამ გაზაფხულზე? ეს ნიშნავს რამდენიმე მილიონი გლეხის ამოძრავებას და შეკავშირებას და მათ გაყვანას მინდორში.

ამოცანები, როგორც ხედავთ, ბუმბერაზულია და რომ გადავსჭრათ ისინი, ამისათვის ჩვენ უნდა შეგვეძლოს მასების დარაზმვა ამ ამოცანების შესასრულებლად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. სამეურნეო - პოლიტიკური კამპანიები—ეს იგივე ფრონტია. ჩვენ წინაშე არის მტერი, კლასობრივი მტერი, და როგორც ბრძოლის ფრონტზე — პოლკის, დივიზიის მეთაურის ამოცანას შეადგენს წაიყვანოს თავისი პოლკი, თავისი დივიზია განსაზღვრულ სიმაღლეზე, რათა გადამწყვეტი დაკვრით დაამარცხოს მტერი, ასეა აქაც, სამეურნეო ფრონტზე.

ჩვენ უნდა მივცეთ ქვეყანას ნავთი და მივცემთ კიდეც, იმ პირობით, თუ ჩვენ შევძლებთ მუშათა მასების დარაზმვას არა მარტო დარაზმვას, არამედ მათ სათავეში ჩადგომასაც. ჩვენ უნდა დავთესოთ ბამბა, და ამ ამოცანის შესრულების მთავარ პირობას უნდა წარმოადგენდეს იმის უნარი, რომ ასეული ათასი გლეხური მეურნეობა გავიყოლიოთ ლოზუნგით — ვიბრძოლოთ საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისათვის ბამბის დარგში. თუ ჩვენი ორგანიზაციები გამოიჩენენ ასეთ უნარს, მაშინ პირნათლად შევასრულებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს.

შეგვიძლია თუ არა ამ საქმეში დავეყრდნოთ მხოლოდ მამაკაცებს? არა, არ შეგვიძლია. **ამ ამოცანების განსახორციელებლად მამაკაცს გვერდში უნდა ამოუდგეს ქალი:** ფაბრიკაში — მუშა-ქალი, სოფლად — მშრომელი გლეხი ქალი. ჩვენს მუშაობაში ქალთა შორის ამჟამად ახალი არის ის, რომ წინანდებურად არ ვკმაყოფილდებით სახელოსნოების, ბაგების და ჭრა-კერვის სკოლების მოწყობით. ამჟამად ჩვენს წინაშე უდიდესი მნიშვნელობის სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიებია, რომელთა შესასრულებლად მთლიან ფრონტით უნდა მიდიოდეს ქალიც და მამაკაციც, მუშაც და მუშა ქალიც, გლეხიც და გლეხი ქალიც. თუ ქალი ჩამორჩა, მაშასადამე ჩამორჩით ჩვენც და ამის გამო გეგმა ვერ შესრულდება. ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანის გადასაჭრელად უნდა ავამოძრაოთ უზარმაზარი მასა. მხარს უჭერს თუ არა მასა პარტიას? მასა მხარს უჭერს და ეს დამტკიცებულია. აიღეთ ქარხნებში სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, ენტუზიაზმი, რომლითაც მუშები იბრძვიან ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანების შესასრულებლად, — ეს საუკეთესო და ამომწურავად ადასტურებს იმას, რომ როგორც წინა წლებში, ისე წელსაც ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობა მუშებისა და გლეხებისათვის გადაიქცა საკუთარ საქმედ და რომ მათი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ახალი ცხოვრების მშენებლობა.

რაში გამოიხატება ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების სენი? გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ცუდი ორგანიზატორები ვართ, ჩვენ მასების ამოძრავებას, რომელსაც ადგილი აქვს ფაბრიკა-ქარხნებში და აგრეთვე სოფლად, ვერ ვუძღვებით სათანადოთ, ვერ ვახერხებთ ამ მოძრაობის მიმართვას ამა თუ იმ საბრძოლო მუშაობის შესასრულებლად. რომ ეს ასეა, რომ ჩვენ აქ მოვიკოჭლებთ, მოვიკოჭლებთ წელსაც, როგორც წინად, ამას ყველაზე უკეთ მოწმობს ჩვენი მუშაობის შედეგები იანვარში. როგორ შევასრულეთ იანვრის გეგმები? რას გვეუბნებიან ჩვენ ეს შედეგები? ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ხორცის დამზადების იანვრის გეგმა შესრულებულია 38 პროცენტით, ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა შესრულებულია—სკანდალურად ცოტა. იანვარში სულ შევასრულეთ 59 პროცენტი, რაც შეეხება პურის დამზადებას, თქვენ იცით, რომ იგი უნდა დაგვემთავრებია პირველ ნოემბრისათვის, შემდეგ პირველი დეკემბრისათვის, შემდეგ პირველი იანვრისათვის და ბოლოს პირველი თებერვლისათვის. მიუხედავად ამისა ჩვენ პირველ თებერვლისათვის პურის დამზადების გეგმა შევასრულეთ 88 პროცენტით. როგორ არის გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის მზადების საქმე? მარტში გლეხი უნდა გავიდეს მინდორში. არის თუ არა მზად ყველაფერი? ყველაფერი არის თუ არა მომზადებული ბრძოლისათვის? არა. ყველაფერი არ არის მომზადებული? ცუდათ, ძალიან ცუდათ არის ეს საქმე. ავიღოთ ექსპორტი. როგორ შევასრულეთ იანვრის გეგმა? სულ 60 პროცენტით და აი ხუთწლედის მესამე წლის უკვე პირველი თვე, წლის, რომელშიაც ჩვენ დავისახეთ სოციალიზმის საძირკვლის დამთავრების ამოცანა,— ეს პირველი თვე გვიჩვენებს, რომ ჩვენ ცუდათ ვმუშაობთ.

იანვრის შედეგები მოწმობენ იმას, რომ ჩვენ კიდევ არ შეგვიძლია დავრაზმოთ მასები ამოცანების შესასრულებლად, არ შეგვიძლია დავრაზმოთ ბაქოს მუშები როგორც საჭიროა, რომ მათ მისცენ ჩვენს ქვეყანას ნავთი, არ შეგვიძლია ვაიძულოთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომ მათ დასძლიონ კულაკის წინააღმდეგობა და ყოველივე ეს შედეგია იმის, რომ ჩვენს ორგანიზაციებში ერთობ ღრმად შეიჭრა წარმოდგენა, რომ საკმარისია ლოზუნგის გადმოსროლა დადგენილების მიღება და მასები თვითონ გამოგვყვებიან ჩვენ. არც ერთ დადგენილებას, არც ერთ ლოზუნგს არა აქვს ისეთი ძალა, რომ მასები თვითონ, თვითმიმდინარეობით წავიდნენ მის შესასრულებლად. **ყოველი ჩვენი ლოზუნგი, ყოველი ჩვენი დადგენილება, ყოველი ჩვენი გადაწყვეტილება მოითხოვს იმას, რომ ჩვენ მაშინვე გავყვეთ მას ღარიბ და საშუალო გლეხების მასებში და გავიყოლიოთ ისინი. ბოლშევიკების ორგანიზატორული ხელის გარეშე სოციალიზმს ვერ ავაშენებთ.** ეს ხომ ანბანური ჭეშმარიტებაა. მიუხედავად ამისა იანვრის გეგმა ჩვენ სამარცხვინოდ ვერ შევასრულეთ. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა ავსტეხოთ განგაში, ვინაიდან თუ ყოველ თვეში ასე სამარცხვინოდ ჩამოვრჩით, მაშინ წლის დამლევს (თუ პარტია ჩვენს ასეთ მუშაობას შეურიგდა), რა თქმა უნდა, გეგმას ვერ შევასრულებთ. ჩვენ უნდა ავსტეხოთ განგაში, ჩვენ უნდა ავინაზღაუროთ ის, რაც იანვარში დაგვაკლდა—აი მთავარი ამოცანა, რომელიც დასახულ უნდა იქნეს ჩვენს წინაშე. ეს საკითხები უნდა იდგეს აგრეთვე თქვენს წინაშე პრაქტიკულ მუშაობაში ადგილებზე.

ჩვენ განსაკუთრებით ვერ ვიჩენთ უნარს მასების დარაზმვაში სოფლად. თუ ქალაქში მუშები და მუშა ქალები სწრაფი ნაბიჯით მიდიან წინ, თუ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ცუდად თუ კარგად, დიდი სიძნელით მაინც ცდილობენ სათავეში ჩაუდგენ ამ მოძრაობას,—სოფლად გლეხების მასა სუსტად, ძალზე სუსტად არის შეკავშირებული, კიდევ უფრო მეტად ჩამორჩება ჩვენს წინსვლას გლეხი ქალი, ამაში, რა თქმა უნდა, დამნაშავენი არიან ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მთლიანად და არა მხოლოდ ქალთა სექტორების გამგეები. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს და ვერ შეითვისეს, რომ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაზე, თუ ამ საქმეში ჩვენთან არ იქნება ქალი. თუ მშრომელი გლეხი ქალი წინააღმდეგია ჩვენი ღონისძიებების, თუ მას არ ესმის ისინი და ამის გამო ფეხდაფეხ არ მისდევს პარტიას,—წინსვლა მეტად ძნელია.

შარშან ყველა ჩვენს შეცდომებს, ჩვენს მარცხს, რომელიც გამოიწვია გადამლაშებამ კოლექტივიზაციის დარგში, თან სდევდა კიდევ ერთი დიდი ნაკლი. ჩვენ დაგვავიწყდა ქალი, ჩვენ გამოვრიცხეთ იგი სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში მონაწილეობისაგან, ეს ცოდვა თითქმის ყველა ჩვენს პარტიული ორგანიზაციებს მიუძღვით. დამახასიათებელ მოვლენას მთელ საბჭოთა კავშირში წარმოადგენდა ის, რომ ქალი საკმაო მონაწილეობას არ ღებულობდა ძირითადი საკითხის—სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საკითხის გადაჭრაში. ამავე დროს სავსებით ცხადია, რომ ქალი დაინტერესებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის გარდაქმნით, ჩვენი ყოფაცხოვრების რადიკალური შეცვლით, ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა—კულაკებმა ისარგებლეს იმით, რომ მშრომელ ქალთა შორის არ სწარმოებდა მასიური პოლიტიკური მუშაობა და მათი ჩამორჩენილი ნაწილი ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ბევრ ადგილას ქალმა ხელი წაგვკრა და მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდნენ გონს ჩვენი პარტიული ორგანიზაციები. მაგრამ აქედან გამომდინარე ყველა გაკვეთილები არ ყოფილა მიღებული მხედველობაში. და რაც ყველაზე უფრო სახიფათოა—ბევრ ჩვენს ორგანიზაციაში გამეფებულია თვითკმაყოფილება და სრული რწმენა იმაში, რომ შევსძელით ქალის ჩაბმა ჩვენს რიგებში. რომ ეს ასეა, ამას მოწმობს მტკიცება იმის შესახებ, რომ საბჭოების წინანდელ გადარჩევებში ქალებმა დიდი აქტივობა გამოიჩინესო და სხვ. მაგრამ ეს საერთო ლაპარაკია. რა როლს თამაშობს ქალი ყველა სამეურნეო და პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში? მეტად უმნიშვნელოს? ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. თავის მოტყუება იქნება, თუ თქვენ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენი ქალი უკვე გამოვიდა ასპარეზზე და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხების გადაჭრაში. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავძარით ქალი ადგილიდან, ის ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული საბჭოების მუშაობაში. ამას ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, ამაში თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავე.

რა არის ძირითადი გლეხ ქალთა შორის მუშაობაში? ის, რომ დავეხმაროთ პარტიას მოძრაობაში მოიყვანოს მუშა-ქალების და მშრომელი გლეხი ქალების ფართო მასები. ამას უნდა უძღვებოდნენ არა მარტო ქალთა სექტორები, არამედ მთლიანად მთელი პარტიული ორგანიზაცია, და თქვენ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ აიძულოთ ორგანიზაცია აწარმოოს ეს მუშაობა. პარტიული თათბირის ამოცანა სწორედ იმაშია, რათა ყველამ შეიგნოს, რომ უქალოდ შეუძლებელია, წარმოუდგენელია წინსვლა და ძველი ყოფაცხოვრების გარდაქმნა. ქალი უნდა მუშაობდეს და პასუხს აგებდეს ყველა ჩვენთან თანასწორად. როცა ამას მივაღწევთ, უფლება გვექნება ვთქვათ, რომ გარდატეხას მივაღწიეთ.

რა გვაქვს ჩვენ ეხლა? საბჭოების გადარჩევის დროს გავიხსენეთ ის ქალები, რომლებიც ერთი წლის წინად აირჩიეს საბჭოებში. რა თქმა უნდა, არაფრად არ ვარგა, რომ ისინი არ ჩააბეს მუშაობაში, რომ დაივიწყეს ისინი. მაგრამ რატომ დაივიწყა ეს თვითონ ქალმა, საბჭოს ამ წევრმა, დაივიწყა თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა თავის ამომრჩეველთა წინაშე? აი გუშინაც ერთი ამხა-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

წყალთა ტრანსპორტი ძირითადად უნდა გარდავქმნათ

საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

მოსკოვი, 10 თებერვალი. 9 თებერვალს საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მოლოტოვის და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. სტალინის ხელმოწერით გამოქვეყნდა საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, წყლის ტრანსპორტის, პროფესიონალურ და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი წყლის ტრანსპორტის შესახებ.

დადგენილება აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ზრდა წყლის ტრანსპორტისაგან მოითხოვს მისი მუშაობის რადიკალურ გარდაქმნას გაშლილი სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპებთან შეფარდებით. წყლის ტრანსპორტის სამეურნეო მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებს მას სახალხო მეურნეობა. არც ერთ წელიწადს საწარმოო პროგრამა მთლიანად არ სრულდება, დღემდე არ დაწყებულა რეკონსტრუქცია, ძალზე დიდია ავარიის პროცენტი, არ არის შესრულებული ცენტრალური კომიტეტის დირექტივა ერთმმართველობის განხორციელების შესახებ, სუსტად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. ყოველივე ამის გამო საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნიათ დაუყოვნებლივ გატარდეს ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებები: წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა—ორი თვის ვადაში დაამთავროს წყლის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის გეგმის დამუშავება. რეკონსტრუქციის გეგმის სრულ დამთავრებამდე ცალკე ბასეინებისა და სხვადასხვა სახის ტვირთის მიხედვით შემოღებულ უნდა იქნას ყველაზე უფრო რაციონალური ტიპის გემები უნდა გადაკეთდეს გემების შემკეთებელი არსებული სახელოსნოები და სხვ. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას 215 მილიონი მანეთი, რომლის გადადებაც განზრახულია 1931 წელს წყლის ტრანსპორტზე კაპიტალური სამუშაოებისათვის. ს. მ. უ. საბჭო ვალდებულია განსაზღვროს გემების გამოშვების კალენდარული გეგმა, რომლის შესრულებაც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას 1931 წლის ნაოსნობისათვის დანიშნული გემების ვადაზე გამოშვება.

ს. მ. უ. საბჭომ ორი დეკადის ვადაში შეისყიდოს გემთსაშენი მრეწველობის ქარხნებისათვის საჭირო მომუშავე და დამხმარე მექანიზმები, აგრეთვე სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოჰყოს 50 მილიონი მანეთი გემთმშენებლობის რეკონსტრუქციის საჭიროებისათვის და ახალი გემთსაშენების, კერძოდ კრასნოარმეისკის, პერმის და დოშატინსკის გემთსაშენების აგებისათვის.

წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატმა და ს. მ. უ. საბჭომ ერთი თვის ვადაში უნდა გადასჭრან ბენზინმზიდის ტიპის გემების საკითხი და ერთად შეადგინოს გეგმა ბენზინზიდების მშენებლობისა როგორც „რეჩსოიუზვერფი“-ს ქარხნებში, ისე მდინარის ტრანსპორტის გაერთიანების სახელოსნოებში, ერთი თვის ვადაში გამორკვეულ უნდა იქნან ის ქარხნები, სადაც შესაძლებელი იქნება მდინარის ტექნიკური ფლოტის მშენებლობის გაშლა. არა უგვიანეს 1932 წლის 1 მარტისა უნდა დამთავრდეს პირველი და მეორე თანრიგის გემთშემკეთებელი სახელოსნოების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა. გემების შესაკეთებლად „ზატონებთან“ არსებული ქარხნები და სახელოსნოები გაერთიანებულ უნდა იქნან დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებად. გემების მშენებლობისა და შეკეთების გეგმების დროზე შესრულებისათვის პერსონალურად პასუხს აგებენ „ზატონების“ უფროსები და საამქროების ადმინისტრაცია. იმ მიზნით, რომ გაძლიერებულ იქნას წყლის ტრანსპორტის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის ტემპი, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი ვალდებულია გაშალოს საკუთარ სახელოსნოებში მექანიზაციის უმარტივეს საშუალებათა დამზადება და დაამუშაოს წყლის ტრანსპორტზე დატვირთვა - გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის გატარების კონკრეტული გეგმა.

ვინაიდან სანაოსნო მდინარეები, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი არტერიები, როგორიც არის ვოლგა და დნეპრი, მეტისმეტად დაქვეითებულ მდგომარეობაში არიან, რაც საფრთხეს უქმნის ნორმალურ ნაოსნობას, შრომისა და თავდაცვის საბჭომ უნდა განიხილოს საკითხი სანაოსნო მდინარეების სისტემატიურად წესრიგში მოყვანის შესახებ. ადგილობრივ აღმასკომებს ევალებათ — მიიღონ ზომები ადგილობრივი მდინარეების გასაწმენდად და ადგილობრივი ნორმალური ტივოსნობის უზრუნველსაყოფად. 1 მარტამდე სამხრეთის რაიონებმა, 6-15 მარტამდე ჩრდილოეთის რაიონებმა უნდა შეიმუშაონ და აცნობონ ადგილებს გადაზიდვის გეგმა 1931 წლის სანაოსნო პერიოდისათვის. ამასთან ერთად დაწესებულ უნდა იქნას კლიენტურის მატერიალური და სასამართლო პასუხისმგებლობა ტვირთის მიუწოდებლობისათვის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში და წყლის ტრანსპორტის ამგვარივე პასუხისმგებლობა გამწევი ძალის მიუცემლობისათვის. მდინარის ტრანსპორტის საორგანიზაციო სტრუქტურა ძირითადად იცვლება. გემი, როგორც პირველადი სამეურნეო ერთეული, ეთანაბრება საწარმოს. და მან უნდა იმუშაოს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, მას უნდა ჰქონდეს მტკიცე სამრეწველო - საფინანსო გეგმა. იწყობა მდინარის ფლოტის დაახლოებით 50 რაიონული სამმართველო. ნაცვლად არსებული 23 სახელმწიფო ნაოსნობისა, არსდება შემდეგი 15 სანაოსნო: ვოლგის, მოსკოვის, ოკას, კამის, დნეპრის, დნეპრ-დვინსკის, ჩრდილოეთ-დასავლეთის, ჩრდილოეთის, დონ-ყუბანის, ამიერ-კავკასიის, შუა-აზიის, დასავლეთ-ციმბირის, დონ-ყუბანის, კაზაკსტანის, ენისეის, აღმოსავლეთ - ციმბირის, ლენისა და ამურის.

გარდა ამისა, მდინარე ურალზე არსდება რაიონული სამმართველო, რომელიც უშუალოდ წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს დაემორჩილება. არსებული სააგენტოები და სახელმწიფო ნაოსნობა უქმდება.

მდინარის ტრანსპორტზე გემების მეთაურთა შემადგენლობის მუშაობის გაუმჯობესებისა და მუშათა და მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიციური კადრების განმტკიცების მიზნით, აგრეთვე მათი შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს ევალება წყლის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ერთი თვის ვადაში გაადიდოს წყლის ტრანსპორტის მუშაკთა ხელფასი მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. სატარიფო განაკვეთის დასამატებლად შემოღებულია კაპიტანების, მექანიკოსების, კაპიტანის და მექანიკოსის თანაშემწეების, უფროსი ლოცმანების, მესაჭეების, მზეთავების და ცეცხლფარეშების შრომის ანაზღაურება ტონა-კილომეტრის მიხედვით, ამასთან შემოღებულია ცეცხლფარეშთა დაჯილდოება სათბობის მომჭირნეობისათვის. მიმდინარე წლის 1 მარტისათვის უნდა შეიქმნას წყლის კოოპერაცია იმ სტრუქტურით, რომელიც დაწესებულია რკინისგზელთა კოოპერაციისათვის.

მომარაგების სახალხო კომისარიატს და „ცენტროსოიუზს“ ევალებათ — მოაწყონ დახურული განმანაწილებლები ყველაზე უფრო მსხვილ „ზატონებთან“ და წყლის ბასეინებთან და უზრუნველჰყონ ისინი რეგულიარული მომარაგებით დაწესებული ნორმების მიხედვით.

ვინაიდან წყლის ტრანსპორტის პარტორგანიზაციები უფრო ჩამორჩენილნი არიან პარტიული და მასიური საწარმოო მუშაობის დაყენებაში, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების პარტორგანიზაციები, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო წინადადებას აძლევენ ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ (გამოტოვებულია) — გადაჭრით იბრძოლონ სამუშაო დღეების გაცდენის და წაგლეჯის წინააღმდეგ და შრომის დისციპლინის აწევისათვის და ამ საქმეში დაეყრდნონ წყლის ტრანსპორტის მუშების მოწინავე ფენებს და დამკვრელებს.

(ადს).

თებერვლის 15 ს, სახელმწიფო ოპერის თეატრში

გაიხსნება

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-6 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ა/კ. სფსრ მთავრობის მოქმედების ანგარიში
2. საქ. სსრ მთავრობის მოქმედების ანგარიში მომხ. ამხ. ფ. მახარაძე
3. მოხსენება საგაზაფხულო სათესლო სამეურნეო კამპანიის და საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების შესახებ მომხ. ამხ. მათიკაშვილი
4. მოხსენება 1931 წ. მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესახებ მომხ. ამხ. გ ო გ ი ა
5. მოხსენება საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ მომხ. ამხ. გ. დევდარიანი
6. საქართველოს სსრ ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ მომხ. ამხ. ს. თ ო დ რ ი ა
7. ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.

სს ცაკის მდივანი: ს. თოდრია

დავრაზმოთ მშრომელ ქალთა მასები სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის

ნაგე სვანეთიდან ჩიოდა, რომ ქალი—საბჭოს წევრი მთელი წელიწადი თუ წელიწად ნახევარი სახლში იჯდა და მხოლოდ ასეთი დიდი ხნის შემდეგ გაიგეს, რომ ის საბჭოს წევრია. ჩვენ არ გვინდა საბჭოს ასეთი წევრები. არ გვინდა საბჭოს ისეთი წევრები, რომელნიც თითონ არ გაახსენებენ საბჭოს თავიანთ თავს, თვითონ არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში. საბჭოში ირჩევენ არა პატივისთვის, არამედ დიდი საპასუხისმგებლო მუშაობისათვის.

გამოსვლის დროს ბევრი წარმომადგენელი ქალი ჩიოდა იმაზე, რომ სოფლის საბჭოები ყურადღებას არ აქცევენ გლეხ ქალთა შორის მუშაობას. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ საერთოდ ჩვენი ქალები ჩივილსა და წუწუნში დიდ ოსტატობას იჩენენ. მაგრამ რატომ ქალთა სექტორებში არ ლაპარაკობენ სოფლის საბჭოს საერთო მუშაობაზე? განა თქვენ ნაკლებად დაინტერესებულნი ხართ ამაში? სოფლის საბჭო კი ამჟამად მთელი ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ყურადღების საგნად არის გადაქცეული. თქვენ იცით, რომ საკ. კ. პ. (ბ) და ც. კ-ის უკანასკნელ პლენუმზედაც სპეციალურად განხილულ იქნა საკითხი ჩვენი საბჭოების მუშაობის შესახებ. ჩვენ ეხლა ისეთ პერიოდში შევედით, როდესაც ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა მოვაქციოთ საბჭოების მუშაობა. იმისთვის, რომ გავშალოთ მუშაობა სოფლად, იმისთვის, რომ გლეხები და გლეხი ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენს მშენებლობაში, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ სოფლის საბჭო იყოს პარტიის გენერალური ხაზის ნამდვილი გამტარებელი.

ჩვენ ამჟამად ვაწყობთ, ვამაგრებთ ჩვენ რაიონებს, რადგან რაიონი არის ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ძირითადი დასაყრდნობი პუნქტი. თუ ჩვენ რაიონებს არ ეყოლებათ მტკიცე სოფლის საბჭოები, ლაპარაკიც კი არ შეიძლება გეგმის რაიმე შესრულებაზე. და თუ ჩვენი სოფლის საბჭოები პირს არ იბრუნებენ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკური ამოცანებისაკენ, დამნაშავენი ამაში იქნებით თქვენც — ქალთა სექტორებიც, ვინაიდან თქვენ ყველანი ჯერ კიდევ ყოფილი ქალთა განყოფილებების მუშაობის სპეციფიური საკითხების ტყვეები ხართ. თქვენ მხოლოდ იმაზე ფიქრობთ, ჩმას, უჩივით, რომ სოფლის საბჭოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ქალთა შორის მუშაობას. განა თქვენ სოფლის საბჭოს მთელ მუშაობას უთმობთ იმ ყურადღებას, რასაც თქვენგან პარტია მოითხოვს? არა, არ უთმობდა. უნდა მკვეთრად შიაბრუნოთ მუშაობა. თუ სოფლის საბჭოები თქვენი და რაიკომების დახმარებით შეძლებენ ამ გარდატეხას, ამ გარდატეხის მოხდენას, მაშინ ქალი ჩაბმული იქნება მთელ ჩვენ საერთო მუშაობაში.

ესმის კი ყველას, რომ ამჟამად ჩვენი მუშაობა გლეხ ქალთა და მუშა ქალთა შორის არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საკითხს, ისეთ საკითხს, რომლის გარეშეც უნდა მოხდეს მარტო გლეხი ქალებისა და მუშა-ქალების მობილიზაცია? ესმის კი ყველას, რომ ჩვენი მუშაობა ამჟამად მდგომარეობს იმაში, რომ მუშათა კლასის და შრომელი გლეხობის მთელი მასა გამოვაცოცხლოთ, დავაყენოთ ისეთ გზაზე, რომ მან შესძლოს პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულება? არა, ყველას არ ესმის ეს.

აიღეთ პურის დამზადება, ხორცის დამზადება... ჩვენი ორგანიზაციების უმრავლესობას, დიდ უმრავლესობას არც კი უფიქრია იმაზე, რომ ისინი ყველა ჩვენთან ერთად გაქანებულიყვნენ ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიების შესასრულებლად. ძირითადი, რაც შეადგენს ჩვენი პარტიული თათბირის ამოცანას, ეს ისაა, რომ თქვენ, როგორც საჭიროა, ისე შეგვეგნოთ ეს, ვინაიდან ბევრი თქვენთაგანი ჯერ კიდევ ისევ გუშინდელი დღით ცხოვრობს. ეს დამტკიცდა მრავალი ამხანაგის გამოსვლებით.

რასაკვირველია. მოისპობა მთელი რიგი სპეციფიური საკითხები, რაც ახასიათებს ქალთა შორის მუშაობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არავითარ შემთხვევაში ამ საკითხებით არ უნდა დაიჩრდილოს ძირითადი ამოცანა, მასების მობილიზაციის ამოცანა, მათი დარაზმვა პარტიის გენერალური ხაზის შესასრულებლად ბრძოლისათვის. უბედურება ისაა, რომ ჩვენმა ქალთა სექტორმა არ იციან ამ თავიანთი მუშაობის სპეციფიური განსხვავებული მდგომარეობის დაკავშირება საერთო ამოცანებთან.

სოფლად ძირითად ამოცანას შეადგენს — ჩაბმულ იქნან კოლმეურნეობებში ღარიბ - საშუალო გლეხთა მასები. კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდა საგრძნობლად, თუ უმთავრესად არა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად არიან განმტკიცებულნი და რამდენად კარგად მუშაობენ არსებული კოლმეურნეობები. თქვენ ბევრს ლაპარაკობდით იმის შესახებ, თუ კოლმეურნეობაში როგორ მუშაობს გლეხი - ქალი, მაგრამ ძალიან ცოტა იყო თქმული ან სრულიადაც არაფერი თქმული, კოლმეურნეობის საერთო მუშაობის შესახებ, იმ ამოცანების შესახებ, რაც ჩვენს წინაშე სდგას არსებული კოლმეურნეობების განმტკიცებისა და კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდის დარგში. ნამდვილად კი კოლექტივიზაციის ფრონტზე ჩვენში ყველაფერი რიგზე არ არის. მრავალ კოლმეურნეობაში ჩვენ, ვამჩნევთ ისეთ მდგომარეობას, რომ გლეხები გაერთიანებულან, მაგრამ მიწა ძალიან ცოტა გაუერთიანებიათ მუშა საქონელი კიდევ ნაკლები, ხოლო ინვენტარი სრულიადაც არ გაუერთიანებიათ. რაღა კოლმეურნეობებია ასეთ კოლმეურნეობანი? ესენი კოლმეურნეობები არ არიან. ჩვენ უნდა შევამოწმოთ თვითეული კოლმეურნეობა, ზუსტად გამოვარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს ის თავისთავად, გამოვასწოროთ ნაკლი, განვდევნოთ კულაკური ელემენტები, ჩავუყენოთ მას სათავეში კარგი საქმიანი მომუშავეები, რომლებიც შესძლებენ, როგორც საჭიროა, ისე მოაწყონ იქ შრომა და შემოსავლის განაწილებაც. თორემ ჩვენ კოლმეურნეობებში შრომის ყოვლად უვარგისი ორგანიზაცია გვაქვს, ნამდვილად რომ ვთქვათ, არავითარი შრომის ორგანიზაცია იქ არ არის. შემოსავლის განაწილება ხდება „თანასწორობისა და ძმობის“ პრინციპის თანახმად.

საკოლმეურნეო მოძრაობის დიდ ნაკლოვანებად ჩაითვლება ის ფაქტიც, რომ ჩვენში, ამიერკავკასიის კოლმეურნეობებში, მეტად სუსტად არის წარმოდგენილი საშუალო გლეხთა ფენები. წარსულ წელს, როცა მრავალი ორგანიზაციები ცდილობდნენ გვერდი აექციათ საშუალო გლეხებისათვის, სურდათ უმისოდ გარდაექმნათ სოფლის მეურნეობა, საშუალო გლეხმა გვაგრძნობინა, როცა შემოგვიტია ჩვენ, რომ მისთვის ანგარიშის არ გაწევა შეუძლებელია. მაგრამ საჭირო გაკვეთილი აქედან ჩვენმა პარტორგანიზაციებმა ვერ გამოიტანეს. ამიერკავკასიის მთელ რიგ ადგილებში ამჟამად, როცა კოლექტივიზაციამქნილია მეურნეობათა 17 პროცენტი, საშუალო გლეხთა ფენა კოლმეურნეობებში დაახლოვებით 10 პროცენტს უდრის. ჩვენ ცუდათ ვხელმძღვანელობთ კოლექტივიზაციის პროცესს. ჩვენს ამოცანას შეადგენს ის, რომ დავიბრუნოთ დაკარგული. ჩვენ ამოცანად დავისახეთ 1931 წლის განმავლობაში კოლექტივიზაციის პროცენტი ამიერკავკასიაში საშუალოდ ავიყვანოთ 20-25 პროცენტამდე, ხოლო მებამბეობის რაიონებში — ყველა გლეხურ მეურნეობათა 50 პროცენტამდე. ამ ამოცანას ჩვენ შევასრულებთ მხოლოდ იმ აუცილებელ პირობით, თუ გავშლით მასიურ მუშაობას და მოვაწყობთ საშუალო გლეხთა მეურნეობის ფართო ლტოლვას კოლმეურნეობებში.

როგორია ქალის როლი კოლმეურნეობებში? ჩვენ ვიცით იმის თითო ოროლა შემთხვევა, რომ ქალი აქტიურად მუშაობს გამგეობაში, მაგრამ ძალიან იშვიათია შემთხვევა, რომ ქალი ბრიგადელად ითვლებოდეს. დასკვნა ნათელია: ჩვენს საერთო მუშაობაში კოლმეურნეობათა მოწყობა - ჩამოყალიბების დარგში ფართო გზა უნდა მიეცეს აქტივისტ ქალს.

კიდევ ერთ ნაკლოვანებაზე მსურს შევაჩერო თქვენი ყურადღება. ეს ისა, რომ ჩვენში სოფლად თითქმის სრულიად არ მოიპოვება უმარტივესი საწარმოო გაერთიანება, ნამდვილად კი ეს პირველადი ფორმები ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლიანდაგზე გადასაყვანად.

პარტიული ორგანიზაციების ადგილებზე მუშაობის ძირითად ნაკლად ჩაითვლება იმის სრული მივიწყება, რომ საჭიროა გაშლილ და მოწყობილ იქნას მუშაობა ღარიბებს შორის. თუ სოფელში არ იქნებიან ღარიბთა ჯგუფები, თუ პირველ რიგში დარაზმული და შეკავშირებული არ იქნება თვით ღარიბობა, მაშინ წინ წაწევა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზით შეუძლებელი იქნება. ღარიბობა —ეს ის ძალაა, რომელმაც პარტიის ხელმძღვანელობით და საშუალო გლეხთა კავშირში უნდა გააჩაღოს შემდგომი შეტევა კულაკზე. იმისათვის, რათა ღარიბი ქალი ჩავაბათ ღარიბთა ჯგუფში, საჭიროა არა მარტო ფართო მასიური პოლიტიკური მუშაობის გაშლა - გაჩაღება, არამედ, უმთავრესად, საბჭოების, კოოპერაციის, სასოფლო ამხანაგობების, კოლმეურნეობებისა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის ისე დაყენება რომ ღარიბი გლეხ ქალს იზიდავდენ თავიანთ მუშაობაში, ზრდიდენ მისგან აქტივისტს, რომელიც შესძლებს შემდგომ სიმაღლეზე აიყვანოს მუშაობა სოფლის მთელს სამეურნეო - პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დიდი პრობლემა სდგას ჩვენს წინაშე, პრობლემა, რომელიც ჩვენ მახლობელ წლებში უნდა გადავჭრათ — ეს არის კადრების პრობლემა. კადრების საკითხი ჩვენში მეტად მწვავედ სდგას. განსაკუთრებით მწვავედ სდგას სოფლისათვის საჭირო კადრების საკითხი. ჩვენ გვჭირია აგრონომები, გვჭირია ტექნიკოსები, გვჭირია სოფლის მეურნეობის ორგანიზატორები, გვჭირია ტრაქტორისტები. კადრების მომზადება კი მეტად ნელა მიმდინარეობს. მაგრამ სულ ცუდათ არის დაყენებული ქალთა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმე. ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დადგეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ საკითხის შეტანა ჩვენს მუშაობაში. ზრუნვა გლეხი ქალისთვის სრულიად არ მდგომარეობს იმაში, რომ დააკმაყოფილოს მისი სამომხმარებლო მოთხოვნილებანი, არამედ იმაში, რომ გამოზარდოს სოფლის ქალთა აქტივი და მოამზადოს ღარიბ და საშუალო გლეხთა ქალებისაგან კადრები ამიერ - კავკასიის ფედერაციის სოციალისტური მეურნეობისათვის. სოციალიზმს მივუახლოვდებით არა მშრომელი გლეხი ქალების სამომხმარებლო ინტერესების დაკმაყოფილებით, არამედ სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგების შევსებით მშრომელი გლეხი ქალით.

თათბირი ჯამს უკეთებს ჩატარებულ მუშაობას და სახავს მთელი სოციალისტური მშენებლობის მსვლელობით წამოჭრილ ახალ ამოცანებს. შემდეგში ეს ნაბიჯები უნდა დაუკავშირდნენ იმ დიდ კამპანიას, რომელშიაც ჩვენ ამჟამად შევდივართ. მე ვგულისხმობ ქვედა პარტუჯრედების გადარჩევას, რომელიც ამიერკავკასიაში უნდა დაიწყოს 15 თებერვალს. ყოველმა უჯრედმა ჯამი უნდა გაუკეთოს შედეგებს და შეამოწმოს მთელი თავისი მუშაობა; ყოველმა უჯრედმა უნდა დასახოს თავისი შემდგომი მუშაობის კონკრეტული შინაარსიც. სავსებით ცხადია, რომ ჩვენი უჯრედების მუშაობის გეგმაში სათანადო ადგილი უნდა დაიჭიროს მუშა ქალის და გლეხი ქალის მუშაობამ. და ასევე სავსებით ცხადია, **რომ ეს მუშაობა უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს საერთოდ მიღებულ ამოცანებს. მეტიც: იგი პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი საერთო- პარტიული მუშაობიდან.**

ჩვენ წინაშე დიდი ამოცანები დგანან. იმისათვის, რომ შევასრულოთ ეს ამოცანები, უნდა ვიმუშაოთ ბრძოლითი წესით, ჩვენი ტემპები უნდა გავაორკეცოთ. თუ სხვაგან, სხვა მხარეში პარტიული ორგანიზაციები სრული ნაბიჯით მიდიან, ჩვენ ამიერ - კავკასიაში ჩვენი ნაბიჯი უნდა გავაორკეცოთ, ვინაიდან ჩვენ ჩამოვრჩით, ჩამოვრჩით სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის წარმოებული ბრძოლის ბევრ ნაწილში.

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ნამდვილი ბოლშევიკები ვართ, ისეთი ბოლშევიკები, რომელთაც შესწევთ უნარი იბრძოლონ და განახორციელონ გენერალური ხაზი.

მენშევიკური საქართველოს აღსასრულის დასაწყისი

(1921 წლის 11 თებერვალი)

11 თებერვალი მეტად მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს მშრომელი მასების ცხოვრებაში. ათი წლის წინად, ამ დღეს დაიწყო მენშევიკური მთავრობის მიერ სასოწარკვეთამდე მიყვანილ გლეხკაცობის აჯანყება, ყოფილ ბორჩალოს მაზრაში (შულავერში) „დემოკრატიული ხელისუფლების“ წინააღმდეგ.

შულავერის ამბები მშრომელ გლეხთა ერთ - ერთი ჩვეულებრივი აჯანყება იყო, რომლის მსგავსი მენშევიკების ბატონობის განმავლობაში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებში ხდებოდა. და რომელსაც „დემოკრატიული“ მთავრობა ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლდებოდა. მაგრამ შულავერის გლეხობის აჯანყება საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ეს იყო უკანასკნელი და მენშევიკური ხელისუფლებისათვის საბედისწერო ამბოხება „დემოკრატიული მთავრობის“ მიერ განაწამებ მშრომელი გლეხობისა, ეს იყო აჯანყება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძლევამოსილი 25 თებერვალი — მენშევიკური წყობილების დამხობა და საქართველოს მუშებისა და გლეხების მიერ ძალაუფლების ხელში აღება.

შულავერის რაიონის აჯანყებულ გლეხკაცობამ პირველყოვლისა იერიში მიიტანა მენშევიკურ გვარდიისა და ჯარის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა განაიარაღეს ჯარის ნაწილები და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მენშევიკურმა მთავრობამ დაუზოგავად იერიშ მიიტანა აჯანყებულ გლეხებზე. მან მუსრი გაავლო იმ სოფლებს, სადაც აჯანყება დაიწყო, არ დაინდო დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მენშევიკების ასეთი გაცოფება მომაკვდავის უკანასკნელი გაზმორება იყო. ამას კარგად გრძნობდენ თვით „დემოკრატიული“ საქართველოს მესვეურებიც. ისინი უძლურნი იყვნენ აჯანყებული გლეხობის დაშოშმინებაში, ისინი მუხლმოდრეკით ევედრებოდენ ანტანტის ჯარებს დარჩენილიყვნენ საქართველოში „წესიერების დასაცავად“. ე. ი. ბოლშევიკური აჯანყების სისხლში ჩასახშობად.

მენშევიკები არც მას შემდეგ იშლიდენ იმედებს ევროპის იმპერიალისტების ჯარებზე, რაც ამ ჯარებმა, დასტოვეს საქართველოს ტერიტორია. სულ რაღაც ორი კვირით ადრე, სანამ შულავერის აჯანყება დაიწყებოდა, მენშევიკური პარტიის ოფიციოზი „ერთობა“ ურცხვად სწერდა თავის ამ სანუკვარ ზრახვების შესახებ და მასთანვე ჩვეულებრივი უტიფრობით „ასაბუთებდა“ საქართველოს მთავრობის სიმპატიებს ევროპის ხიზნებისადმი.

„კომუნისტები საშინელი გაბოროტებით სწერენ, ამბობს „ერთობა“ იმ „რაღაცა“ საიდუმლო მიზეზებზე“, რომლებიც აბედვინებენ საქართველოს ძლიერი რუსეთის ურჩობას (სტილი!). კომუნისტურ პრესას აზრაზებს ისიც კი, რომ საქართველოს შეუძლიან იფიქროს რომელიმე ძალის დახმარებაზე იმ დროს, როდესაც მას საიდანმე საფრთხე მოელის“.

ამ თვითმამხილებით სტრიქონებს თანვე ახლავს ჩვეულებრივი მენშევიკური ტრაბახი. თუ გაგვიჭირდა შეიძლება მივმართოთ სხვის დახმარებას, მაგრამ არც ისე საქმე, რომ ჩვენი ძალებითაც ვერ გაუმკლავდეთ მტერსო—ამბობს გაზეთი. „დიახ საქართველოს ჯერ - ჯერობით არ დასჭირებია სხვისი დახმარება, მტერს იგი თავისი ძალითაც კარგად უსწორდებოდა“, სწერს თავმომწონებით მენშევიკური გაზეთი.

სინამდვილემ კი თითქოს სხვა დაგვანახვა. 11 თებერვალს აჯანყდა შულავერის გლეხობა, ხოლო სწორედ ორი კვირის შემდეგ, ე. ი. 24 თებერვალს ღამით მენშევიკებმა მოკუსლეს თბილისიდან. ეს მოხდა უმთავრესად იმიტომ, რომ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა, ჯარი და მენშევიკების ერთგული გვარდიის ნაწილიც კი მტრულად იყო განწყობილი არსებულ რეჟიმისადმი და თანაგრძნობით იყურებოდა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ. ამით აიხსნება, რომ მენშევიკური ნაწილები ძალიან ხშირად ათასობით უბრძოლველად გადადიოდნენ წითლების მხარეზე, ხოლო ზურგს უკან მეტად გავრცელებული იყო დეზერტირობა.

მენშევიკების სატრაპები, კერძოდ ისეთი დეგენერატები, როგორიც იყო ცნობილი ბანდიტი ვალოდია გოგუაძე, ულმობლად უსწორდებოდნენ ყველა მათ, —ვინც უარს ამბობდა ბოლშევიკებთან ბრძოლაზე. ასეთ ურჩების დახვრეტის შესახებ სხვებს დასაშინებლად ოფიციალურად იბეჭდებოდა გაზეთებში. ბოლოს თვითონ შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილიც იძულებული ხდება ალაპარაკდეს ამის შესახებ. „ერთობის“ ერთ-ერთ ნომერში იბეჭდება მისი შემდეგი საუბარი გაზეთის თანამშრომელთან.

„ჯარის უკან დახევის დროს ქონდა ადგილი ზოგიერთ (!) ნაწილში არევ - დარევას. ზოგიერთმა მეომარმა ახალი პოზიციების ნაცვლად სახლს მიაშურა. ამას ხელს უწყობდნენ თითო - ოროლა მოღალატენი ბოლშევიკების სახით. მთავრობამ მიიღო სასტიკი ზომები: **ზოგიერთი მოღალატენი საველე სასამართლოს დადგენილებით დახვრეტილ იქნენ,** ხოლო დანარჩენებსაც ასეთი სასჯელი მოელით.

ამგვარმა ზომებმა გასჭრა. გაქცეულთა დიდი უმრავლესობა ფრონტს დაუბრუნდა, ხოლო დანარჩენთა წინააღმდეგ ადმინისტრაციას ებრძანა შესაფერი ზომების მიღება. ამჟამად ფრონტი სავსებით მტკიცეა, ის ახლო მომავალში შეტევას დაიწყებს თბილისის დასაბრუნებლად“-ო!

პატივცემული მინისტრი ცოტა არ იყოს სტყუოდა. თუ რამდენად გასჭრა მიღებულმა ზომებმა ეს იქედანაც სჩანს, რომ მენშევიკური ჯარი ელვის სისწრაფით დნებოდა, ხოლო თბილისის დაბრუნების ნაცვლად „დემოკრატიული“ საქართველოს ხელისუფალნი საკუთარი ტყავის გადასარჩენად შავი ზღვის ნაპირებისაკენ მიეშურებოდნენ ნაქურდალი სახალხო დოვლათით.

ასე სამარცხვინოთ დამთავრა თავისი სალდაფო ხანმოკლე ბატონობა ქართველი მშრომელი ხალხის ჯალათმა მენშევიკურმა პარტიამ. 11 თებერვალი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მენშევიკური საქართველოს აღსასრულის დასაწყისი იყო.

გატყავებულ, გაძარცულ, აოხრებულ საქართველოს დაეპატრონა განთავისუფლებული მუშა და გლეხი და ამ ათი წლის განმავლობაში მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად საქართველო, როგორც ამიერ-კავკასიის ფედერაციის განუყოფელი ნაწილი, გოლიათური ნაბიჯით მიდის წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზით.

ვინ აფერხებს საგარეთუბნო მეურნეობების მშენებლობას

საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიის დადგენილება

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია აღნიშნავს, რომ თვითმდინარების განწყობილებების შედეგად, რომლებიც კოოპერატიული აპარატის ცალკე საფეხურებმა და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებმა (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ახალმშენი) გამოიჩინეს პარტიის და მთავრობის მიერ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულების საქმეში, ადგილი ჰქონდა საწარმოო დავალებების ჩაშლას, სამეურნეო უთავბოლობას და ოპერაციების ზარალით დამთავრებას; ამიტომ კოლეგია ადგენს:

1. მუშკოოპის სამშენებლო განყოფილების გამგე **წერეთელი**—მუშკოოპის სამშენებლო განყოფილებაში საქმის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის, მთავრობის იმ დირექტივის შეუსრულებლობისათვის, რომელიც შეეხება მშენებლობის უზრუნველყოფას დამტკიცებული პროექტებით, ახალმშენისათვის გადაცემულ სამუშაოების მიმართ საჭირო ტექნიკური მეთვალყურეობის უქონლობისათვის, დეფიციტურ სამშენებლო მასალების (ცემენტი, ტყუია და სხვ.) ხარჯვის შესახებ არსებული დირექტივის დარღვევისათვის და მუშკოოპის მიერ უშუალოდ წარმოებულ მშენებლობისადმი ცუდი ხელმძღვანელობისათვის—**მოხსნილ იქნას სამუშაოდან.**

2. თბილისის მუშკოოპის საგარეთუბნო მეურნეობათა განყოფილების გამგე **მაქსიმოვი**—საბჭოთა მეურნეობების სამუშაოებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის და დეფექტების აღმოსაფხვრელად თავის დროზე ზომების მიუღებლობისათვის **მოხსნილ იქნას თანამდებობიდან.**

3. **ვოლნიკი**, რომელიც მუშკოოპში მოიწვია სპეციალისტად ხილბოსტეულის მეურნეობის ორგანიზაციისათვის, **მოხსნილ იქნას სამუშაოდან**, როგორც თავის დანიშნულებისათვის შეუფერებელი.

აღნიშნულ პირების შესახებ მასალები გადაეცეს საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკურ კომისიას.

4. თბილისის მუშკოოპის საგარეთუბნო მეურნეობათა განყოფილების ტექნიკ **ჩისტიაკოვს** კინკლაობაში და დაჯგუფებაში მონაწილეობისათვის, რამაც გავლენა მოახდინა მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე ნავთის ქალის საბჭოთა მეურნეობაში, **გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.**

5. მუშკოოპის ნავთის ქალის საბჭოთა მეურნეობის ყოფილ გამგეს **ბარსევანიშვილს** საბჭოთა მეურნეობაში საქმის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის და მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის **გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.**

6. ცეკავშირის ფრინველის დამზადების გამგეს **ნოვაკოვს**—ფრინველის დამზადების საქმის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის, რაც გამოიხატა თბილისის მუშკოოპისათვის 462 ავადმყოფი ფრინველის გამოგზავნაში **გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.**

7. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ინსპექტორს **ბიბილიას** — საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა მიწების არა თავის დროზე გამოყოფა საგარეთუბნო მეურნეობებისათვის, **გამოეცხადოს საყვედური.**

8. სოღანლუღის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის სამუშაოთა უფროსს **ვართაპეტოვს** თავისი უფლება-მოვალეობის გადამეტებისათვის სოღანლუღის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის მიმართ, რაც გამოიხატა იმაში, რომ ვართაპეტოვმა ახალმშენის და მუშკოოპის სამშენებლო განყოფილებასთან წინასწარ შეუთანხმებლად თვითნებურად გადასჭრა წმინდა სპეციალური ხასიათის საკითხი, **გამოეცხადოს საყვედური**

9. ახალმშენის ინსპექტორებს **დავითაშვილს და ბერიძეს**—სოღანლუღის საბჭოთა მეურნეობის ცალკე ობიექტების მშენებლობის დაწყებისათვის სათანადო პროექტების გარეშე და მშენებლობის მსვლელობისადმი სუსტი მეთვალყურეობისათვის, **გამოეცხადოს საყვედური.**

10. ვინაიდან ერწო-თიანეთის რაიონში კართოფილის დამზადების დროს მიღებულ ზარალი 63.000 მანეთის რაოდენობით არის იმის შედეგი, რომ მუშკოოპის ცენტრალურმა აპარატმა და მუშკავებმა, რომლებიც ეს ოპერაცია ჩაატარეს, დანაშაულებრივი გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინეს საქმისადმი, საჭიროდ იქნას ცნობილი მთელი საგამოძიებო-საგამოკვლევო მასალის გადაგზავნა პროკურატურისათვის დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად.

11. საკითხი თბილისის მუშკოოპის გამგეობის იმ წევრთა მოქმედების შესახებ, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან საგარეთუბნო მეურნეობების მშენებლობის შესახებ არსებულ დირექტივის შეუსრულებლობისათვის, გამოიყოს და დაკავშირებულ იქნას მუშათა მომარაგების გამოკვლევის შედეგებთან.

ბოლშევიკური ტემპებით განვავითაროთ ბრძოლა

ხუთწლედის მესამე წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესასრულებლად

იანვრის დავალიანება სასწრაფოდ და მთლიანად უნდა იქნას დაფარული

სტალინელები სიტყვას იძლევიან, რომ აღმოფხვრიან იანვრის ჩამორჩენის მიზეზებს

პილსუდსკი ემზადება ინტერვენციისათვის

ბერლინი, 10 თებერვალი. „ბერლინერ მონტაგ პოსტ“ ბეჭდავს თავის ლონდონელი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ პილსუდსკი,—რომელიც კუნძულ მადერაში გაემგზავრა, პარიზში, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის გეგმებთან დაკავშირებით, მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთის და ინგლისის დიპლომატიის წარმომადგენლებთან.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ხუთ წლედის წარმოებამ პოლონეთის წინაშე დასვა „საბჭოთა საფრთხის“ უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

ამასთან დაკავშირებით პოლონეთის მზადება აღმოსავლეთის საზღვარზე, დასავლეთის საზღვართან შედარებით, საგრძნობლად ძლიერდება. აღმოსავლეთში კვლავ აგებენ ციხე-სიმაგრეებს, საფრანგეთიდან ახალი იარაღი შემოაქვთ და სხვ.

პილსუდსკი ცდილობს, რათა საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში შექმნას მთლიანი ფრონტი, ლიტვის და უნგრეთის მონაწილეობითაც, აგრეთვე უზრუნველყოს პოლონეთი გერმანიის მხრივ ზურგიდან თავდასხმისაგან.

გერმანიის „ნეიტრალიტეტი“ პილსუდსკის ისე აქვს წარმოდგენილი, რომ გერმანია თავის ტერიტორიაზე სამხედრო მასალის ტრანსპორტსაც კი გაატარებს. სამაგიეროდ პოლონეთი გერმანიის მრეწველობას მონაწილეობას მიაღებინებს სამხედრო მასალით პოლონეთის მომარაგებაში და თანხმობას აცხადებს ერთგვარ რევიზიაში პოლონეთის „კორიდორისა“ და ზემო-სილეზიაში.

კორესპონდენტი სწერს: „ლაპარაკობენ, რომ ინგლისის და საფრანგეთის დიპლომატებმა უკვე დაარწმუნა პილსუდსკი, რომ ისინი მზად არიან ხელი შეუწყონ მას ამ მისწრაფებაში და გერმანია ანტისაბჭოთა ბლოკში ჩაიბან“.

ბალტიის სახელმწიფოები ანტისაბჭოთა იარაღის როლში

სტოკჰოლმი, 9 თებრ. შვეციის ერთ-ერთი სამხედრო კავშირის კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა იუდგერ ესენმა, რომელიც შეეცადა გაემართლებინა შვეციის სამხედრო მზადება. იუდგერ ესენმა თავის სიტყვაში ცხადჰყო შვეციის მონაწილეობა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის იმპერიალისტურ გეგმაში.

„საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში —განაცხადა მომხსენებელმა—ბალტიის სახელმწიფოები—ფინეთი, ესტონეთი, ლატვია და შვეცია ერთა ლიგის მეთაურობით გამოვლენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბალტიის ზღვაში ოპერაციებს აწარმოებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მძლავრი ფლოტი“. (ალს).

დეტერდინგი არ ისვენებს

ბერლინი, 9 თებერვალი. მემარცხენე „ველტ ამ აბენდ“ იუწყება, რომ დეტერდინგი ბერლინში მრეწველებსა და ფინანსისტებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა არა მარტო ბენზინის მონოპოლიის, არამედ, უმთავრესად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მომზადების შესახებ. თავის მოლაპარაკებაში დეტერდინგი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ნავთის ბოიკოტი გამოიწვევს ხელსაყრელ შედეგებს გერმანიის საფინანსო წრეებისათვის. გაზეთი იუწყება, რომ გერმანიის ხელმძღვანელმა საფინანსო წრეებმა დაარწმუნეს დეტერდინგი, რომ ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ მის გეგმების განხორციელებაში. (ალს).

ერიოს აშინებს რევოლიუცია

პარიზი, 9 თებერვალი. ერიომ პარიზის „ერ ნუველ“-ში მოათავსა წერილი, რომელშიაც პრინციპიალურად ეთანხმება დორმესონის გეგმას. ერიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს გერმანიას, რათა თავიდან აცილებულ იქნას „პოლიტიკი სისხლისმსმელი ქირურგის—რევოლიუციის ჩარევა“. ერიოს აზრით, თუ მოხერხდა საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების მიღწევა „საშიში არაფერი იქნება“, ხოლო თუ ამ შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა, „მაშინ არაფრის იმედი აღარ რჩება“.

ბიუჯეტი ანტისაბჭოთა ომის მოსამზადებლად

ვარშავა, 9 თებერვალი. სეიმში სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს ორატორები სავსებით გულახდილად ლაპარაკობდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების შესახებ.

მომხსენებელმა პოლკოვნიკმა ნერკოვიჩმა განაცხადა: „პოლონეთის არმია აღიზარდა ორი მსოფლიოს საზღვარზე—კაპიტალისტურ მსოფლიოს და დიდ კომუნისტურ მსოფლიოს საზღვარზე. იქიდან, აღმოსავლეთიდან, გაისმის ლოზუნგი: „პოლონეთის გვამზე გადაბიჯებით საერთაშორისო ხანძრისაკენ“. ამის მიხედვით მომხსენებელი მოითხოვს, რათა სამხედრო ბიუჯეტი არ იქნას შემცირებული. სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალი კონარჟევსკი სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტს იცავდა საბჭოთა ხუთწლედისათვის დაპირდაპირების საფუძველზე. ბიუჯეტი მთლიანად იქნა მიღებული.

12 თებერვალს, საღ. 7 საათზე, ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპ ქციის სახ. კომისარიატის შენობაში შესდგება

მუშგლეხკორთა თათბირის მორიგი სხდომა

ქვედა საფეხურის პრესის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

სავალდებულოა ადგილობრივ საფაბრიკო საქარხნო და დაწესებულებების ნაბეჭდ და კედლის გაზეთების მიღწევათა ბიუროების ხელმძღვანელების და რედაქტორების დასწრება.

ნაციონალისტების მთლიანი ფრონტი ინდოეთის წინააღმდეგ

რენეგატ როის მორიგი გამცემლური გამოსვლა

ლონდონი, 9 თებერვალი. კალკუტიდან იუწყებიან, რომ რენეგატმა როიმ პენჯაბის სოციალისტური პარტიის რეაქციონურ ორგანოში „პიპლ“-ში მოათავსა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ ინდოეთის განთავისუფლების თავდებია დამფუძნებელი კრების შექმნა. წერილისათვის გაკეთებულ შენიშვნაში რედაქცია აღნიშნავს, რომ როი ამჟამად აღარ არის ეროვნულ კონგრესის ისეთი სასტიკი მოწინააღმდეგე, როგორიც ამ ცოტა ხნის წინად იყო.

ნაციონალურ კონგრესის ნამდვილი სახე.

ლონდონი, 9 თებრ. კალკუტიდან იუწყებიან, რომ ნაციონალისტებმა იანვრის განმავლობაში ინდოეთის სხვადასხვა ნაწილში მოაწყვეს კულაკების მთელი რიგი კონფერენციები. ამ კონფერენციებს გამოაქვთ დადგენილებანი, რომლებშიაც გმობენ გლეხობის რევოლიუციონურ გამოსვლებს. ნანდუნის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საყვედურს უცხადებს ხელისუფლებას იმისთვის, რომ საკმაოდ სწრაფად და ენერგიულად ვერ ჩააქრო გლეხობის გამოსვლები ბუდანის რაიონში და საკმაო დახმარება ვერ გაუწია მემამულეებს და მევახშეებს. ამ კონფერენციას თავმჯდომარეობდა ეროვნული კონგრესის წევრი, ბომბეი-პაროდის რკინიგზელთა კავშირის თავმჯდომარე ჯამნადას მეტა. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ეროვნული კონგრესის წევრმა დეპუტატმა კალამ ეს რეზოლიუცია მიაღებინა საკანონმდებლო კრებას.

ნაციონალური კონგრესის პრესა გმობს გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობას და იცავს გლეხობის მხოლოდ შეძლებული ნაწილის ინტერესებს (ალს).

გერმანიის კომპარტიის გავლენის ზრდა

ბერლინი, 9 თებრ. ფლენსბურგში (შლეზვიგი) გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა რეიხსტაგის დეპუტატმა მარია რეზემ.

მარია რეზემ ამ ცოტა ხნის წინად გასწყვიტა კავშირი სოციალ-დემოკრატებთან და შევიდა კომპარტიაში). მარია რეზეს მოხსენების შემდეგ 53-მა მუშამ და მუშა ქალმა, მათ შორის 25-მა სოციალდემოკრატმა და 4-მა ნაციონალისტმა განაცხადეს, რომ სურთ კომპარტიაში შესვლა (ალს).

იძულებითი შრომა საფრანგეთში

ბერლინი, 9 თებერვალი. რეინის ოლქში შრომის ბირჟები უმუშევრებს იძულებითი წესით გზავნიან მძიმე სამუშაოზე საფრანგეთში. **შრომის ხელფასი 17—65 კაპეიკადე ძლივსღა აღწევს.** ხელშეკრულებები დაწერილია ფრანგულად და მუშების უმრავლესობა მოკლებულია საშუალებას თვალყური ადევნოს ხელშეკრულებების შესრულებას. ვინც 6 თვის შესრულებამდე, მიატოვებს სამუშაოს, მას, როგორც უმუშევარს დახმარება აღარ მიეცემა. უკანასკნელ თვეებში 3200 უმუშევარი გაიგზავნა საფრანგეთში ასეთ პირობებში სამუშაოდ (ალს).

პროფოპოზიცია ამარცხებს რეფორმისტებს

ბერლინი, 9 თებერვალი. ბერლინ—ბრანდენბურგის ოლქის რევოლიუციონური პროფოპოზიცია საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მომავალ არჩევნებში 600 ქარხანა-ფაბრიკაში წამოაყენებს წითელ სიებს შემდეგი ლოზუნგებით: **სოციალ-დემოკრატ პროფბიუროკრატების გავლენის აღმოფხვრა, ფაშისტების განდევნა საწარმოებიდან და 1-ლ მაისამდე 100 ათასი ახალი წევრის ჩაბმა რევოლიუციონურ პროფკავშირებში.** უკანასკნელი თვის განმავლობაში ამ რაიონში წითელ პროფკავშირების წევრთა რიცხვი თითქმის **ერთი სამად გაიზარდა.** მთელ რიგ საწარმოებში წამოყენებულია **მხოლოდ მთლიანი ფრონტის წითელი სიები,** ვინაიდან ამ საწარმოებში **რევოლიუციონურმა პროფოპოზიციამ შესძლო რეფორმისტ პროფბიუროკრატების გავლენის საბოლოოდ აღმოფხვრა** (ალს).

ამხ. ვოროშილოვის პასუხი მისალმებებზე

მოსკოვი, 9 თებერვალი. იმ ორგანიზაციებსა და ამხანაგებს, რომელთაც გამომიგზავნეს მისალმება ჩემი დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო.

ამხანაგებო!

ვერ მიპოვნია საკმარისად ძლიერი სიტყვები პასუხის გასაცემად იმ მრავალ მისალმებაზე, რომლებიც მოვიდა და კვლავაც მოდის ჩემს სახელზე.

ვიცი, რომ ჩემი კლასი და მისი ავანგარდი—ჩვენი ლენინური პარტია—წარმოადგენენ ამ დღეებში ჩემი მდგომარეობის ერთად ერ „მიზეზს“. პირველ ყოვლისა მათ, მუშათა კლასსა და პარტიას, ეკუთვნის ის პატივი, რომელიც მე მცეს მშრომელებმა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში პარტიისა და მუშათა კლასის ნება-სურვილით მე ვხელმძღვანელობ ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს. ამ მეტის-მეტად საპასუხისმგებლო და ძნელი მუშაობის შესრულება მე შევძელი მხოლოდ ლენინური ც.კ.-ის მუდმივი ხელმძღვანელობით, ამიტომ, რომ ჩემთან ერთად პატიოსნად და გატაცებით მუშაობდნენ ყველა მეთაურები, წითელი არმიის მთელი შემადგენლობა. ამიტომ იმ ყურადღების უდიდესი ნაწილი, რითაც დამასაჩუქრეს მე ამხანაგებმა 50 წლის შესრულების გამო, ეკუთვნით მათაც —წითელარმიელებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს.

ჩემს შესახებ ვიტყვი შემდეგს: მე აღმზარდეს პარტიამ და მის მშენებელმა ლენინმა. ლენინური ც. კ.-ის ხელმძღვანელობით და ლენინის ერთგულ მოწაფესთან და მისი საქმის განმგრძობთან ამხ. სტალინთან მუდმივ ურთიერთობაში ვმუშაობდი მე მთელი ამ წლების განმავლობაში. ამგვარადვე ვიმუშავებ მე მომავალში, მთელ ძალღონეს და, თუ საჭირო იქნება, მთელ ჩემ თავსაც შევსწირავ პარტიას, პროლეტარულ საქმესა და კომუნიზმს.

ამხანაგური სალამით — კ. ვოროშილოვი“.

სტალინელები დაფარავენ იანვრის დავალიანებას

სტალინის სახელ. ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის ამწყობ საამქრომ იანვრის გეგმა ვერ შეასრულა. იანვრის გეგმის დავალიანებიდან ჯერ კიდევ 8 თებერვლისათვის დარჩენილია ხუთი ორთქლმავალი.

სამგზავრო სავაგონო საამქროს იანვრის გეგმით მთავარი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 16 სამგზავრო ვაგონი, გამოუშვა 17. საშუალო შეკეთებიდან იანვრის გეგმით უნდა გამოეშვა 43 სამგზავრო ვაგონი, გამოუშვა 52.

საბარგო სავაგონო საამქროს იანვრის გეგმით მთავარი კონვენციური გასინჯვით შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 296 საბარგო ვაგონი, გამოუშვა—305. კონვენციური გასინჯვით შეკეთებიდან იზოტერმიული (საყინულე) ვაგონი უნდა გამოეშვა 6, მაგრამ შეკეთებაში არც ერთი არ შემოსულა. წლიური გასინჯვით იზოტერმიული ვაგონი უნდა გამოეშვა 18, გამოუშვა მხოლოდ 8, (დანარჩენი 10 იზოტერმიული ვაგონი შეკეთებაში არ შემოსულა). დავალების გარეშე აღდგენითი შეკეთებიდან გამოუშვა 7 სხვადასხვა სახის საბარგო ვაგონი.

საბორბლო საამქროს იანვრის გეგმით ორთქლმავალის ბორბლები უნდა გაეთალა და შეეკეთებია 192 წყვილი. შეაკეთა და გათალა 165 წყვილი ბორბალი, ტენდერის ბორბლები უნდა გაეთალა და შეეკეთებია 128 წყვილი. გათალა და შეაკეთა 106 წყვილი. ყველა სახის ვაგონების ბორბლები უნდა შეეკეთებია და გაეთალა 925 წყვილი, შეაკეთა და გათალა 904 წყვილი. ამგვარად აღნიშნულმა საამქროებმა (სამგზავრო სავაგონო საამქროს გამოკლებით) იანვრის გეგმა ვერ შეასრულეს.

ეხლა დავასახელოთ გეგმის ხელის შემშლელი მთავარი მიზეზები. საბარგო სავაგონო საამქროს ვაგონები ვერ მოაწოდეს შესაკეთებლად, ამავე დროს ბორბლების მოუწყობლობის გამო ყოველ-დღიური გეგმა ირღვეოდა (საბორბლო საამქრო), უნდა ითქვას, რომ ქარხნის ადმინისტრაციას და საგზაო დირექციას გასული წლების ჩვეულებები ხუთწლედის გადამწყვეტ მესამე წელშიაც გადმოყვა: წინასწარ გაუთვალისწინებლობის გამო გეგმის შესასრულებლად ქარხანაში არ იყო საკმაო ტემპებით მუშაობა, მუშა ხელი რაციონალურად არ არის გამოყენებული, მასალის დამზადება არ სდგას თავის სიმაღლეზე, ადგილი აქვს მასალის სიმცირეს.

იანვრის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩა ამწყობი საამქრო. ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა დაადგინეს იმუშაონ უფასოდ გამოსასვლელ დღეებში და დაეხმარონ ამწყობ საამქროს მუშებს მთლიანად შეასრულონ იანვრის გეგმა.

ამწყობი საამქრო უკვე მესამედ ჩამორჩა. მუშები მოითხოვენ ამ ჩამორჩენის მიზეზების გამორკვევას და დამნაშავეთა გამომჟღავნებას.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა:

დ. ჯღარკავა.

არ დაუშვებთ ფრონტის გარღვევას

(ფეხსაცმელების ფაბრიკა)

სტალინის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშების 98 პროც. ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამკვრელობაში, მაგრამ შეჯიბრების და დამკვრელობის ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ფაბრიკაში ადგილი აქვს სამუშაო საათებში უსაქმოდ ხეტიალს. ამ გარემოებამ და აგრეთვე ნედლი მასალის ნაკლებობამ დიდი გავლენა იქონია ხუთწლედის დამკვრელი წლის პირველი თვის გეგმის შესრულებაზე. იანვარში ფაბრიკას უნდა დაემზადებია — 38240 წყვილი ფეხსაცმელი, ფაქტიურად კი დამზადდა 77510 წყ., ე. ი. გეგმა შესრულა მხოლოდ 87,8 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება ერთ კაც-დღეზე გეგმით უნდა ყოფილიყო 25 მ.—92 კაპ., ფაქტიურად კი არის 25 მან. და 0,4 კაპ. შრომის ნაყოფიერების აწევის გეგმა შესრულდა 96,6 პროცენტით. ცუდი ხარისხის საქონლის გამოშვება თვალსაჩინოდ შემცირდა. მაგალითად: დეკემბერში წუნი უდრიდა მთელი გამოშვებული პროდუქციის 0,19 პროც. იანვარში კი დავიდა 0,06 პროცენტამდე.

ფაბრიკას იანვარში უნდა გამოეშვა — 323.500 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი გამოუშვა 296.400 მანეთის, ე. ი. საერთო პროდუქციის იანვრის გეგმის შესრულებას დააკლდა 8,4 პროცენტი.

პირველი თვის ჩამორჩენილობა ფაბრიკის პარტიულ, კომკავშირულ და პროფორგანიზაციებს ავალებს მუშაობის ტემპების გაძლიერებას და აქტიურ ხელმძღვანელობის გაწევას მუშათა ინიციატივისათვის.

ა. ჩ.

მუშები არ იცნობენ გეგმას

(„პროლეტარი“)

თამბაქოს მეორე ფაბრიკა „პროლეტარმა“ იანვრის გეგმა ვერ შეასრულა. ფაბრიკას იანვარში გეგმით უნდა გამოეშვა 182022000 ცალი. სხვადასხვა ხარისხის პაპიროსი, ფაქტიურად კი გამოუშვა 166,120,000 ცალი ამრიგად. გეგმა შესრულდა მხოლოდ 91,25 პროცენტით. იანვარში ადგილი ჰქონდა 31 სამუშაო კაც-დღის გაცდენას.

ფაბრიკაში მუშაობს 524 მუშა-მოსამსახურე. აქედან ინდივიდუალურ სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია 386 მუშა. ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია 42 დამკვრელი ბრიგადა, რომლებშიაც გაერთიანებულია 185 მუშა.

იანვრის გეგმის ჩამორჩენილობას საწარმოო თათბირის თავმჯდომარე ხსნის მანქანების სათანადო მოუწყობლობით, მაგრამ მარტო ეს არ არის ჩამორჩენის მიზეზი. მთავარი ისაა, რომ გეგმა არ არის დაყვანილი საამქრომდე, ბრიგადამდე და ცალკე მუშებამდე.

აგურის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

აგურის ქარხნების მდგომარეობას სასწრაფო გამოსწორება ესაჭიროება. აგურის 8 ქარხანა, რომლებიც სულ ცოტა ხანია, რაც თბილისის საადმშენებლო ტრესტის სისტემაში არიან შესული და იქამდე კი ახალმშენის სისტემაში შედიოდნენ, 1931 წლისათვის მოუმარაგებელია მთელი რიგი ისეთი მასალებით, რომლების დაუმზადებლობაც გამოიწვევს აგურის ქარხნების მუშაობის შეფერხებას ზაფხულში.

აგურის 1-ლ ქარხანას იანვრის გეგმაში არც ერთი ცალი აგურის გამოშვება არა აქვს დათვალისწინებული და არც გამოუშვია, ხოლო თიხის დამზადება კი გათვალისწინებული იყო 2.900 კუბიკური, ფაქტიურად კი ქარხანამ დაამზადა მხოლოდ 1851 კუბომეტრი. აგურის მე-2 ქარხანას გეგმით იანვარში უნდა დაემზადებია 3.500 კუბომეტრი თიხა, ხოლო ფაქტიურად კი დაამზადა 2.733 კუბომეტრი. რაც შეეხება აგურს — გეგმის თანახმად იანვარში აგურის გამოშვება არ ყოფილა გათვალისწინებული.

აგურის მე-3 ქარხანას გეგმით იანვარში უნდა გამოეშვა 260.000 ცალი აგური, ნამდვილად კი გამოუშვა—285.000 ცალი. ამავე ქარხანას იანვარში გეგმით უნდა დაემზადებია 2.000 კუბომეტრი თიხა, ნამდვილად კი დაამზადა 1794 კუბომეტრი. მე-4 ქარხანას გეგმით იანვარში უნდა გამოეშვა — 458.000 ცალი აგური და 3.430 კუბომეტრი თიხა, ფაქტიურად კი გამოუშვა 474000 ცალი აგური და 2.493 კუბომეტრი თიხა. მე-5 ქარხანას გეგმით უნდა დაემზადებია 485.000 ცალი აგური, ფაქტიურად კი დაამზადა 496.000 ცალი და ამას გარდა გეგმის გარეშე ქარხანამ დაამზადა 9.000 ცალი კრამიტი, რომელიც უდრის 18.000 აგურს. ამავე ქარხანას გეგმით იანვარში უნდა დაემზადებია 3770 კუბომეტრი თიხა, ფაქტიურად კი დაამზადა 3.586 კუბომეტრი. მე-6 ქარხანას გეგმით იანვარში უნდა გამოეშვა 55.000 ცალი აგური, გეგმა შესრულებულია მთლიანად. თიხა კი გეგმით უნდა დაემზადებია 3.150 კუბომეტრი, ნამდვილად დაამზადა 3077 კუბომეტრი. მე-7 ქარხანას გეგმით უნდა გამოეშვა 420.000 ცალი აგური და 3770 კუბომეტრი თიხა, ნამდვილად გამოუშვა 469000 ცალი აგური და 2.884 კუბომეტრი თიხა. მერვე ქარხანას გეგმით უნდა დაემზადებია 2550 კუბომეტრი თიხა, ნამდვილად კი დაამზადა მხოლოდ 1709 კუბომეტრი, რაც შეეხება აგურს, აგური ამ ქარხანას არ დაუმზადებია.

რას გვიჩვენებს ზემოთჩამოთვლილი ციფრები? იმას, რომ **აგურის ქარხნებმა იანვრის გეგმა აგურის დამზადების დარგში გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო თიხის დამზადების დარგში კი საგრძნობლად ჩამორჩენ.**

რა არის ჩამორჩენის მიზეზი? ჩამორჩენის მიზეზი ერთია. ეს ის არის, რომ ქარხანას არა ჰყავს თიხის დამზადებისათვის საკმაო მუშა-ხელი. მაგალითად თუ ავიღებთ იანვრის თვეში მომუშავე მუშა-ხელს, აქ ასეთი სურათი გვაქვს: მე-4 ქარხანაში გეგმით უნდა იყოს 82 მუშა-ხელი, ფაქტიურად კი მუშაობს 48. მე-5 ქარხანაში გეგმის თანახმად უნდა მუშაობდეს 87 მუშა-ხელი, ნამდვილად კი მუშაობს 77. მე-6 ქარხანაში უნდა მუშაობდეს 84, ფაქტიურად კი მუშაობს 55. მე-7 ქარხანაში უნდა მუშაობდეს 87, ფაქტიურად კი მუშაობს 80 მუშა-ხელი.

როგორც ვხედავთ ამ 4 ქარხანას იანვარში უმუშავნია არა იმ მუშა-ხელით, რომელიც გეგმაში გათვალისწინებული, არამედ უფრო ნაკლები და საგრძნობლად ნაკლები მუშა-ხელით, რამაც გამოიწვია აგურის ქარხნების პირველ იანვრის გეგმების შეუსრულებლობა თიხის დამზადების დარგში.

აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ მუშა-ხელი არც მომავალი თვისთვის არის მომარაგებული. ადმინისტრაცია დროზე არ ღებულობს ზომებს მუშებისათვის ბინების აგებაზე. ამჟამად აგურის ქარხნების მუშებს აქვთ 4 სახლი და ეხლა შენდება 2 სახლი 24 ოთახით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მუშა-ხელის იმ რაოდენობისათვის, რომელიც ესაჭიროება აგურის ქარხნებს. რასაკვირველია ამით არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ობიექტური მიზეზია გეგმის შეუსრულებლობისათვის. ამ მიზეზების აღმოფხვრა შეიძლებოდა, მაგრამ ქარხნების ადმინისტრაციას ჯერ არ მიუღია გადამჭრელი ზომები ამ საქმის გამოსასწორებლად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ახალმშენის“ ბიუროკრატიული დამოკიდებულება აგურის ქარხნების მუშების ბინების მშენებლობისადმი. დიდი ხანია, რაც ახალმშენმა დაიწყო 2 ბინის აგება ამ ქარხნების მუშებისათვის, მაგრამ ეს ბინები დღესაც დაუმთავრებელია და საეჭვოა რომ კიდევ სამ თვეში იქნას მზად, თუმცა ამ ბინების აგება შეიძლებოდა 20 დღის განმავლობაში.

ამჟამად მიღებულია ზომები, რომ აგურის ქარხნის მუშები უზრუნველყოფილი იქნან ბინებით. მაგ. ტფილისის აღმასკომის მიერ ამ საქმისათვის გადადებულია 80.000 მანეთი.

აგურის ქარხნის მუშები (№ 4, 5, 6, 7) ჩაბმულნი არიან სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში, მაგრამ არა საკმაო რაოდენობით. საჭიროა ქარხნების პროფორგანიზაციამ კიდევ უფრო გაშალოს მუშაობა ამ მიმართულებით. ამჟამად დაჯილდოებულია ქარხნის 50 დამკვრელი მუშა.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მუშკოოპი სათანადო ყურადღებას არ აქცევს აგურის ქარხნის მუშებს. ქარხნის მუშები ჯერაც არ არიან მიმაგრებული დახურულ განმანაწილებელ დუქნებზე, ხშირია შემთხვევა, როცა მუშკოოპი შეშას არ აძლევს ქარხნის ადმინისტრაციას და მას უხდება შეშის კერძო ბაზარზე ყიდვა.

აგურის ქარხნების ადმინისტრაციამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ქარხნის ტრანსპორტით მოსამარაგებლად, რადგან ტრანსპორტის სიმცირე აფერხებს მუშაობას.

აკ. იმნაძე.

გეგმა შეასრულეს 88 პროცენტით

ქიმკომბინატის ქიმიკოფარმაცევტიულ ქარხანას გეგმით იანვარში უნდა გამოეშვა 34,544 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი გამოუშვა 42,035 მანეთის, ე. ი. იანვრის გეგმა ქარხანამ შეასრულა 21,7 პროცენტის გადაჭარბებით. სამღებრო საამქროს იანვარში, თანახმად გეგმისა, უნდა გამოეშვა 18,100 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი გამოუშვა 30,780 მანეთის, ე. ი. **გეგმა შესრულებულ იქნა 170,1 პროცენტით.** წებოს ქარხანას იანვარში უნდა გამოეშვა 5,500 მანეთის პროდუქცია, ნამდვილად კი გამოშვებული იქნა 5,606 მანეთის, ე ი. გეგმა შესრულებულ იქნა 1,9 პროცენტის გადაჭარბებით.

თაბაშირის (გიფსი) ქარხანას გეგმით იანვარში უნდა გამოეშვა 23,925 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი გამოუშვა 8,550 მანეთის, ამრიგად **თაბაშირის საამქრომ იანვრის გეგმა შეასრულა მხოლოდ 35,7 პროცენტით.**

მთლიანად ქიმკომბინატს გეგმის თანახმად იანვარში უნდა გამოეშვა 63,969 მანეთის პროდუქცია, ნამდვილად კი გამოუშვა 56,191 მანეთის, ე. ი. იანვრის გეგმა ქიმკომბინატმა შეასრულა მხოლოდ 87,8 პროცენტი .

ადმინისტრაციის განცხადებით თაბაშირის საამქროს მიერ გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ნედლი მასალის უქონლობით, ადმინისტრაცია აცხადებს რომ ამჟამად თაბაშირის საამქრო უკვე უზრუნველყოფილია ნედლი მასალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საბჭოს მუშაობა უნდა გარდაიქმნას რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნებთან შეფარდებით

თბილისის მერვე მოწვევის საბჭოს პირველი პლენუმის რეზოლუცია

მერვე მოწვევის თბილისის საბჭოს პირველი პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. მელაძის მოხსენება საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგებისა და მომავალი მუშაობის ამოცანების შესახებ, აღნიშნავს, რომ, წინააღმდეგ თვალთმაქცების მემარჯვენე-„მომემარცხენო" ბლოკის ცილისწამებისა მუშათა კლასის აქტიობის დაცემის შესახებ, საბჭოების გადარჩევამ ჩაიარა მუშათა კლასისა და მშრომელი მასების უდიდესი აქტიობისა და აღფრთოვანების ნიშნით ისეთი ნიშნით, რომელიც გამოხატავდა მათ უსაზღვრო ნდობას პარტიის გენერალური ხაზისადმი და მათ მზადყოფნას—იბრძოლონ ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულებისთვის, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებისათვის.

საბჭოების გადარჩევამ ჩაიარა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და კლასობრივი მტრის გაცოფებული წინააღმდეგობის პირობებში.

ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა თავიანთი შემტევლობით და კლასობრივი სიმტკიცით ღირსეული და გადამჭრელი პასუხი გასცეს ყველა კლასობრივ მტრებს და მათ აგენტურას, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტებს", ლომინაძე-სირცოვის უპრინციპო მემარჯვენე-„მომემარცხენო" ბლოკს და მათთან შემარიგებლობას და, პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე, გაიყვანეს საბჭოებში საუკეთესო დამკვრელები, კოლმეურნეები, მოჯამაგირეები, ღარიბი გლეხები, წითელარმიელები, საუკეთესო ინდივიდუალური საშუალო გლეხები და საქმეზე შემოწმებული სპეციალისტები, ამავე დროს საბჭოების შემადგენლობა გადიდდა მუშა-ქალების, კოლმეურნე ქალების და მშრომელი გლეხი ქალების რიცხვი.

ამასთან ერთად თბილისის საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ გაძლიერებული ტემპები სოციალისტური მშენებლობისა ქალაქად და სოფლად, ინდუსტრიალიზაციისა და კოლმეურნეობათა მშენებლობის სწრაფი ზრდა და, ამასთან დაკავშირებით, მშრომელთა ფართო მასების აქტივიზაცია და მათი ჩაბმა სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობაში—მოითხოვენ საბჭოების მუშაობის ძირიანად გარდაქმნას, მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, უფრო მაღალ და დაკვრითი ტემპებს მუშაობაში და საბჭოს პირით მობრუნებას წარმოებისაკენ, დამკვრელობისაკენ, კოლმეურნეობებისაკენ, სოფლის მეურნეობის და კულტურული მშენებლობისაკენ.

აღნიშნული ამოცანების მიხედვით, პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გაძლიერდეს საბჭოს და მისი მასიური ორგანოების—სექციების, ჯგუფების, ბრიგადების და სხვათა ხელმძღვანელი როლი ისეთ საქმეებში, როგორიც არის სამრეწველო-საფინანსო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, მრეწველობის ცალკე ნაწილებში ჩამორჩენის ლიკვიდაცია, სოცშეჯიბრების, დამკვრელობის, შეხვედრი გეგმების შემდგომი გაშლა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება; ყოველივე ამით, უზრუნველყოფილი იქნება რა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პროგრამის გადაჭარბებით შესრულება, დამთავრდება სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება.

ამავე დროს პლენუმს საჭიროდ მიაჩნია განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მუშათა ხელფასის რეალური დონის შემდგომ გადიდებას და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას—დააჩქაროს საბინაო მშენებლობა, ყოველნაირად გააუმჯობესოს მომარაგებული ორგანოების მუშაობა, გააუმჯობესოს საზოგადოებრივი კვება, დააჩქაროს ქალაქის მახლობლად მეურნეობების მშენებლობა, დააჩქაროს საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლების განხორციელება სკოლის პოლიტექნიზაციასთან ერთად და სხვ.

მე-8 მოწვევის საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ კომუნალური მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებანი დღევანდელ პერიოდში ვეღარ აკმაყოფილებენ მშრომელთა მასების გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ტრამვაისა და სახლთა მეურნეობის მოწესრიგებას და მოგვარებას, წყლის მიწოდებას, ქალაქის კეთილმოწყობას და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობათა გაუმჯობესებას, ამავე დროს ჩაატარებს მუშაობას შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად კომუნალური მეურნეობის მუშაკთა შორის.

ამასთან ერთად საჭიროა გეგმიანი მუშაობის გაძლიერება ქალაქის მეურნეობის გაშლის საქმეში, ამავე დროს უნდა აღირიცხოს სამრეწველო მშენებლობის ამოცანები და მშრომელთა მასების მოთხოვნილებანი, რომელნიც ასე სწრაფად იზრდებიან.

„საბჭოთა სახელმწიფო აპარატი,—ამბობს ამხ. სტალინი,—ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით შედგება საბჭოებისაგან მილიონი ორგანიზაციის, ყველა და ყოველგვარი უპარტიო და პარტიული გაერთიანებების მიმატებით", ამიტომ უნდა აღმოიფხვრას ყოველნაირი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ საბჭოს მასიური ორგანოები დაუპირისპირონ ოპერატიულ, საუწყებო „აპარატს", ან კიდევ საბჭო—დანარჩენ სახელმწიფო აპარატს". ამასთან შეფარდებით უნდა მოხდეს თბილისის საბჭოს და სექციების მუშაობის გარდაქმნა.

ამ გარდაქმნამ უნდა უზრუნველჰყოს მასიური და ოპერატიული ორგანოების მთლიანობა. საჭიროა თბილისის საბჭოს სექციები გავხადოთ უფრო მოძრავი, ავამაღლოთ მათი აქტიობა, აგრეთვე გავაუმჯობესოთ ცოცხალი ხელმძღვანელობა მათი მუშაობისადმი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სექციის ყველა დადგენილებებს და შეკითხვებს თავის დროზე ეხმაურებოდნენ, უფრო ღრმად და უკეთ უნდა გადაიჭრას ყველა ის ორგანიზაციული უთანხმოებანი, რომელნიც ხელს უშლიან სექციების მასიური მუშაობის გაღრმავებას და გაშლას.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას პარტიისა და მთავრობის დირექტივების თავის დროზე გატარება ცხოვრებაში, დამუშავდეს გარკვეულობა მუშაობაში, მოხდეს ბიუროკრატიული გადამახინჯებების, საქმის გაჭიანურების და სხვა ამგვარი მოვლენების ლიკვიდაცია,—სასტიკად უნდა გატარდეს ზემდგომი ორგანოების დირექტივების შესრულების შემოწმება, უნდა სწარმოებდეს ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ჩვენი აპარატის ყველა რგოლებში, ხდებოდეს მუშაკების უკეთ შერჩევა, ამასთან უნდა დამყარდეს პერსონალური პასუხისმგებლობა ჩასატარებელი მუშაობისათვის, წესად უნდა იქნას შემოღებული ხელმძღვანელ ადგილებზე მოწინავე დამკვრელების დაწინაურება ქალაქად, ხოლო კოლმეურნეებისა—სოფლად, და, პროლეტარული თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე გადამჭრელი ბრძოლა უნდა გაეწიოს ყოველგვარ დეფექტებს და გამრუდებებს, რანაირიც არ უნდა იყოს მათი გამოხატულება.

ამასთან დაკავშირებით. პლენუმი საჭიროდ სთვლის უყოველმხრივ განვითარდეს მუშებისა და მუშა-ქალების კონტროლი საბჭოთა ორგანოების მუშაობაზე; ამავე დროს წახალისებულ უნდა იქნას მასების ნებაყოფლობითი მონაწილეობის ახალი ფორმები სახელმწიფოებრივი მუშაობის შესრულებაში.

საჭიროა აგრეთვე გადამჭრელი ბრძოლა ერთმმართველობის სრული გატარებისათვის მუშაობაში, იმისთვის, რომ გაძლიერდეს ხელმძღვანელთა და ცალკე მუშაკთა პასუხისმგებლობა დაკისრებულ სამუშაოსათვის; მაქსიმალურად უნდა შემცირდეს საკომისიო მუშაობა (თათბირი, სხდომა და სხვ.), მოხდეს დრომოჭმული ფუნქციებისა და აპარატის ზედმეტი რგოლების ლიკვიდაცია, მოხდეს თბილისის საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოების განტვირთვა მეორე ხარისხოვანი და მცირემნიშვნელოვანი საკითხებისაგან და მთელი ყურადღება მიექცეს სოციალისტური მშენებლობის ძირითად პრობლემას.

იმისათვის, რომ ნამდვილად მოხდეს საბჭოს მუშაობის ძირითადი გარდაქმნა რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან შეფარდებით, საჭიროა ამაღლებულ იქნას საბჭოს როლი პარტიის ლენინური პოლიტიკის პრაქტიკულად გატარებაში.

საბჭოების მუშაობის ძირითადი გარდაქმნის ამოცანების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე—მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, „მემარცხენე" გადახვევების თვალთმაქცების მემარჯვენე-„მომემარცხენო" ბლოკისა და პარტიის ხაზიდან ამ გადახვევათადმი შემარიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ, აგრეთვე ჩვენი ორგანოების გულდასმით გაწმენდის საშუალებით ყველა კლასობრივად უცხო ანტისაბჭოთა და ოპორტუნისტული ელემენტებისაგან და საბჭოს გამაგრება-განმტკიცების გზით მტკიცე, კლასობრივად გამობრძმედილი მუშაკებით, რომლებიც საქმით შესძლებენ პარტიის გენერალური ხაზის გატარებას.

უდიდესი წარმატება, რომელსაც მივაღწიეთ ჩვენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების არნახული ტემპები მოსვენებას არ აძლევენ კაპიტალისტურ ინტერვენტებს, რომლებიც დაუცხრომლად ემზადებიან იმისათვის, რომ იარაღით ხელში, ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების ნაშთების დახმარებით, ჩაშალონ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა და სისხლში ჩაახრჩონ სოციალისტური ქვეყანა.

ამიტომ მე-8 მოწვევის თბილისის საბჭომ განსაკუთრებით უნდა გააძლიეროს ყურადღება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცების საქმისათვის და წითელი არმიის—ოქტომბრის მონაპოვართა ამ ერთგული დამცველის—საბრძოლო ძლიერების ამაღლებისათვის.

სოფლის საბჭოების განმტკიცების საკითხები, ოლქის გაუქმების შემდეგ, თბილისის საბჭოს ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. საჭიროა გაუმჯობესდეს სოფლის რაიონის მატერიალურ-კულტურული პირობები, განმტკიცდეს მასთან თბილისის საბჭოს კავშირი, რომ ამით უზრუნველვყოთ იმ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელება, რომლებიც დგანან ჩვენს წინაშე სოფლად (გაზაფხულის სათესო-სამეურნეო კამპანია, კოლმეურნეობებში შესვლის ახალი ტალღის ორგანიზაცია, ტეხნიკური კულტურების ნათესი ფართობის, პირველი ყოვლისა, ბამბის ფართობის გადიდება და სხვ.).

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გაძლიერდეს მუშაობა საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში, ძველ კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად და კოლმეურნეობებში შესვლის ახალი ტალღის მოსამზადებლად, იგი საჭიროდ სთვლის ფართოდ გაიშალოს მუშაობა ღარიბ გლეხობასთან და მოჯამაგირეებთან საშუალო გლეხობასთან კავშირის გაძლიერებისა და კულაკობის განდევნის საფუძველზე, რომ ამით მომზადებულ იქნას პირობები კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ამავე დროს საჭიროა სასწრაფოდ დაიწყოს მუშაკთა მომზადება სოფლის საბჭოებისათვის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის წრიდან; ამასთან საბჭოთა სამუშაოზე დაწინაურებულ იქნას რაც შეიძლება მეტი ქალი—კოლმეურნე ქალები, მოჯამაგირე ქალები, ღარიბი გლეხ-ქალები და საშუალო გლეხ-ქალები, რათა შექმნათ სოფლის საბჭოები, რომლებიც საქმით შესძლებენ სათავეში მოექცნენ ბრძოლას ლენინური პოლიტიკის განხორციელებისათვის სოფლად.

მე-8 მოწვევის თბილისის საბჭოს წინაშე წამოყენებული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა სათანადო კადრის კვალიფიციური მუშაკები, რომლებიც გამოსულნი იქნებიან მუშათა კლასის წრიდან, რომლებიც იქნებიან პარტიის გენერალური ხაზის საიმედო გამტარებლები. საჭიროა ყოველმხრივ დაჩქარდეს ახალი პროლეტარული კადრების მომზადება და გადამზადება.

იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ის დაკვრითი ამოცანები, რომლებიც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივებიდან გამომდინარეობენ, ერთ-ერთ პირობად ითვლება თბილისის საბჭოს მატერიალური და ფინანსიური ბაზის განმტკიცება.

პლენუმს საჭიროდ სთვლის გააძლიეროს ღონისძიებანი ფულადი რესურსების მობილიზაციისათვის, უზრუნველყოფილ უნდა იქნას საბჭოს შემოსავალი. საჭიროა გადამჭრელი ზომების გატარება კომუნალური მომსახურეობის გამო დავალიანების გადასახდევინებლად, ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შესამცირებლად და საბიუჯეტო დისციპლინის განსამტკიცებლად.

ყველა ჩამოთვლილი ამოცანები საბოლოოდ დამთავრებისათვის და სოფლისა და ქალაქის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ამიერ-კავკასიის სინამდვილეში უდიდესი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალური მთლიანობისა და პროლეტარული სოლიდარობის სავსებით გატარებას, აგრეთვე ყველა ხალხების ძმურ თანამშრომლობას და მათი კულტურის—ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით პროლეტარული—კულტურის განვითარება.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მშრომელ მასების ინტერნაციონალური მთლიანობის შემდგომი განმტკიცება, ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და ეკონომიური სიმძლავრის განმტკიცება, ნაცუმცირესობათა ეკონომიური და კულტურული ზრდის უზრუნველყოფა, და დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის გადაჭრით აღმოფხვრა.

ჩამოთვლილი ძირითადი საბრძოლო ამოცანების თვალსაზრისით თბილისის მე-8 მოწვევის საბჭოს პლენუმს საჭიროდ მიაჩნია უმოკლეს ვადაში გარდაიქმნას როგორც თბილისის საბჭოს, ისე მის შემადგენლობაში შემავალი სასოფლო-საბჭოების მუშაობის გარდაქმნა, რათა სავსებით იქნას უზრუნველყოფილი პარტიის და მთავრობის ყველა გადაწყვეტილებათა გატარება ცხოვრებაში.

პარტიის გენერალური ხაზისათვის! ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლისათვის!

ხუთწლედისათვის ოთხი წლის განმავლობაში, სოციალისტური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით განხორციელებისათვის.

საბჭოების მთავრობის ძირითადი გარდაქმნისათვის!

პროლეტარული მუშაობის ძირითადი გარდაქმნისათვის!

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემდგომი განმტკიცებისათვის!

სოციალიზმის აშენებისათვის ჩვენს ქვეყანაში და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში! (ადს).

პარტთათბირი ქალთა შორის მუშაობის შესახებ დამთავრდა

9 თებერვალს გრძელდებოდა კამათი ამხ. მირკადაროვას მოხსენების და ვეზიროვის, ტალახაძის და ხეჩუმოვის თანამოხსენებების გარშემო. საერთოდ ამ მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო 50 კაცზე მეტმა. კამათში გამოსულმა სომხეთის კ. პ. (ბ) ცეკას მასიურ-სააგიტაციო განყოფილების გამგემ ამხ. გუმედინმა თათბირის მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ქალთა ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში შემჩნეულია ქალთა შორის მუშაობის შეუფასებლობა, ცხადია, რომ ქალთა შორის მუშაობის შეუფასებლობა და ანგარიშის გაუწევლობა შეფასებული უნდა იქნეს, როგორც აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტული გამოხატულება პრაქტიკაში. მომავალში მუშაობის ასე გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ქალთა შორის მუშაობის გაღრმავების საკითხები დავაყენოთ ჩვენი მუშაობის ყურადღების ცენტრში და მას მივაქციოთ ისეთივე სერიოზული ყურადღება, როგორსაც ჩვენ ვაქცევთ პარტიულ და სამეურნეო მშენებლობის ყველა საკითხებს.

ორატორი ამხ. მნაცაკანოვა აღნიშნავს, რომ დღევანდელი ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მებრძოლი ამოცანაა საგაზაფხულო სათესო-სამეურნეო კამპანია. ეს კამპანია უნდა ჩატარდეს მშრომელი ქალების აქტიური მონაწილეობით, მშრომელი ქალებიდან უნდა შევქმნათ სპეციალური ბრიგადები თესვილთა აღსარიცხავად, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესრულების შესამოწმებლად და სხვ.

ქალები უნდა დაეხმარონ პარტორგანიზაციებს, რომ თესვის გეგმები დაყვანილი იქნეს კოლმეურნეობამდე და თითოეულ ინდივიდუალურ მეურნეობამდე. ამავე დროს მშრომელ ქალებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ბამბის თესვის გეგმების წარმატებით შესასრულებლად.

კამათში გამოსული კომინტერნის ქალთა სექტორის გამგემ ამხ. მოიროვამ აღნიშნა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს ქალთა შორის მუშაობას. საჭიროა საოლქო კომიტეტმა უფრო ფხიზელი და ბოლშევიკური ყურადღებით მოეპყრას ქალთა შორის მუშაობის საკითხს და მით მაგალითი უჩვენოს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს. ქალთა შორის მუშაობის ბოლშევიკური ყურადღების გაძლიერებით ჩვენ შევძლებთ უზრუნველვყოთ ქალთა მასების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში.

ამხ. მოიროვა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიმდინარე თათბირი ტარდება ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ. საჭიროა, ამბობს ამხ. მოიროვა,—ბოლშევიკურად ვაღიაროთ ჩვენი ნაკლოვანებანი და დროულად გამოვასწოროთ. ეჭვი არ არის, რომ ქალთა აქტივობა დიდათ გაიზარდა, მაგრამ ეს როდია საკმარისი, ჩვენ ვიცით, რომ ბევრ ადგილებზე მშრომელ ქალების დიდი ნაწილი ჩამორჩენილია პარტიის და ხელისუფლების დირექტივების გაცნობას. ისინი ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული პარტიისა და ხელისუფლების მებრძოლ ამოცანების განხორციელების საქმეში, ზოგან კლასიურ მტრებთან ქალების ბრძოლა ან სუსტია, ან არა სჩანს. იმისათვის, რომ მშრომელი ქალი დადგეს კლასიურ მტრების წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე რიგებში, ქალები უნდა შეიარაღდნენ სათანადო ცოდნით. ქალებმა უნდა იცოდნენ, თუ რა ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე და როგორ სწყვეტს მას კომუნისტური პარტია. ამ ცოდნასთან ერთად საჭიროა ამოცანების ცხოვრებაში გატარება, მშრომელი ქალები პარტიასთან ერთად უნდა იბრძოდნენ სოციალისტურ მშენებლობის ბოლშევიკური ტემპებისათვის.

ამავე სხდომაზე დასრულდა კამათი. კამათის შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. მირკადაროვას საბოლოო სიტყვა. ამხ. მირკადაროვამ სთქვა, ერთი წლის უკან ქალთა შორის მუშაობა განისაზღვრებოდა მხოლოდ იმით, რომ გადაწყვეტილი ყოფილიყო ყოფა-ცხოვრების საკითხები. მაგრამ ეხლა ქალთა შორის მუშაობა ნიშნავს სოც-მშენებლობის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტას. რასაკვირველია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ ხელი ავიღოთ ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. ყოფა-ცხოვრების საკითხები მომავალშიაც რჩებიან დღის წესრიგში, მაგრამ დღევანდელი დროისათვის მათ ეძლევათ სხვა გვარი ხასიათი. ე. ი. ჩვენ მათ ვსწყვეტთ საწარმოო გეგმების შესრულებასთან დაკავშირებით. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი ჩვენი მუშაობა დაქვემდებარებული უნდა იქნეს რეკონსტრუქტიულ პერიოდის მოთხოვნილებებთან.

დილის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ქართველიშვილი.

დასასრულს თათბირმა მიიღო რეზოლუცია ამხ. მირკადაროვას მოხსენების გარშემო, რის შემდეგ თათბირი დაიხურა.

დირექტივების შესრულების შემოწმება

მსუბუქი კავალერიის თავდასხმა

8 თებერვალს ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციების მსუბუქმა კავალერიამ მოახდინა თავდასხმა ამიერ-კავკასიის და საქართველოს 74 დაწესებულებაზე იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ—თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში მთავრობის დირექტივა სატრანსპორტო მუშაკების რკინის გზაზე დაბრუნების შესახებ, განაწილებულია თუ არა შვებულებები გეგმიანი წესით მთელი წლისათვის, როგორ არიან განაწილებული ახალგაზრდა სპეციალისტები. მსუბუქ კავალერისტებმა საკუთარი ინიციატივით ბევრ დაწესებულებაში შეამოწმეს — თუ რამდენად თავის დროზე ცხადდებიან თანამშრომლები სამუშაოზე.

74 დაწესებულებაში, რომელზედაც თავდასხმა მოახდინა მსუბუქმა კავალერიამ, გამოირკვა, რომ 111 რკინისგზელი არ არის შეტანილი შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის წარდგენილ სიებში.

მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულის (ამიერ-კავკასიაში) სამმართველოს ადმინისტრაციამ არ მისცა მს. კავალერიას ცნობები ყველა იმ პირთა შესახებ, რომლებიც უნდა დაბრუნდნენ ტრანსპორტზე, იმ საბაბით, რომ „მათ არ სურთ უკანვე დაბრუნება ტრანსპორტზე". ალმასკომის ადმინისტრაციამ არ მისცა ცნობები იმ მიზეზის გამო, რომ იგი თურმე „ცირკულიარს უცდიდა". ბევრი სამეურნეო მუშაკი თავს იმართლებდა იმით, რომ სპეციალისტებმა „დიდი ხნის წინად დასტოვეს ტრანსპორტი"-ო და სხვ.

ა-კ. შრომის სახალხო კომისარიატი ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ იქნას გაგზავნილი ტრანსპორტზე ყველა ის მუშაკები, რომლებიც გამომჟღავნებულ იქნენ თავდასხმის დროს. იმ სამეურნეო მუშაკების საქმე, რომლებიც არ ასრულებდნენ მთავრობის დადგენილებას, გადაეცემა მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

შესაფერისმა ორგანოებმა სასწრაფოდ უნდა გასცეს განკარგულება იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს იმის შემოწმება—გაიგზავნენ თუ არა რკინის გზაზე ტრანსპორტის მუშაკები აზერბეიჯანში—ქალაქ განჯასა და ბაქოში; სომხეთში—ლენინაკანსა და ერევანში; საქართველოში—ბათომსა, სოხუმსა, ქუთაისსა და ფოთში.

დაწესებულებებში შვებულებების განაწილების შემოწმებიდან გამოირკვა, რომ მეტწილად დაწესებულებებს დღემდე არ შეუდგენიათ შვებულების კალენდარული განრიგება მთელი წლისათვის.

ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების შემოწმებამ ცხადჰყო ზოგიერთი დაწესებულებების ადმინისტრაციის დაუშვებელი დამოკიდებულება ახალგაზრდა სპეციალისტისადმი. ასე, მაგალითად, ა-კ. რკინის გზების სამმართველოში ინჟინერს უკავია მოანგარიშის თანამდებობა, მუშკოოპში ეკონომისტები მუშაობენ მოანგარიშეებად და სხვ.

დაწესებულებებში თავის დროზე გამოცხადების შემოწმებიდან გამოირკვა, რომ მუშაკები ძლიერ იგვიანებენ მთელ რიგ დაწესებულებებში. მუშკოოპში (გამგეობაში) შემოწმების დღეს საერთოდ დაგვიანება 28 საათს შეადგენს. 4-მა თანამშრომელმა დაიგვიანა ორ-ორი საათი, 5 კაცმა თითო საათი, 7-მა ნახევარ საათზე მეტი და სხვ. „ზარია ვოსტოკა"-ში არ არის სამსახურში გამოცხადების ჟურნალი და სრულიად არ სწარმოებს თანამშრომლების სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვა. საერთოდ, თითქმის ყველა დაწესებულებაში, სადაც შემოწმება მოხდა, საშუალოდ თანამშრომლების 20—25 პროცენტი არ ცხადდება თავის დროზე. ა-კ. შრომის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მოაწყოს ა-კ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ღია სხდომა თავისი შეფის საწარმოში, სადაც დასმული იქნება საკითხი ყველა იმ დაწესებულებების შესახებ, რომლებშიაც შემჩნეულია მუშაკების დაგვიანებით გამოცხადება სამუშაოზე. მსუბუქი კავალერიის მიერ დაგვიანებაში შემჩნეული თანამშრომელნი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში ა-კ. შრომის სახკომისარიატის ამავე გაფართოებულ კოლეგიაზე.

გაზ. „პროლეტარის" მეათასე ნომრის გამოსვლის გამო



Պրոლეტարნер բոլոր երկրների, միացե՛ք

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ՊՐՈԼԵՏԱՐ

ՉՈՐԵՔՇԱԲԹԻ 10 ՓԵՏՐՎԱՐԻ № 34 (999)

ՈՐԳԱՆ ՎՐԱՍՏԱՆԻ ԿՈՄՈՒՆԻՍՏԱԿԱՆ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹՅԱՆ (ԲՈԼՇԵՎԻԿՆԵՐԻ)

1931 Թ. 5-ՐԴ ՏԱՐԻ

საქ. კ. პ. (ბ) ცეკასაგან

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება გაზ. „პროლეტარ"-ს როგორც თავის მებრძოლ ბოლშევიკურ ორგანოს და საბჭოთა საქართველოს ქალაქისა და სოფლის სომეხ მშრომელი მასების ორგანიზატორს მე-1000 ნომრის გამოშვების გამო.

„პროლეტარ"-მა უნდა განაგრძოს ბოლშევიკური მუშაობა ფართო მასების შესამჭიდროებლად პარტიის გენერალური ხაზის გატარების გარშემო სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, უწინარეს ყოვლისა, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ბრძოლის ფრონტზე, უნდა გაშალოს აგრეთვე ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის და ამავე დროს უფრო მეტად გააძლიეროს შეტევა მთავარი მემარჯვენე საფრთხის და „მემარცხენე" გადახვევების წინააღმდეგ, ოპორტუნიზმის პრაქტიკული გამოხატულების და შემარიგებლობის წინააღმდეგ, გააძლიეროს ბრძოლა ლენინური ნაციონალური პოლიტიკისა და მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის, დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, აგრეთვე ადგილობრივი ნაციონალიზმის, დამარცხებული დაშნაკიზმის ნაშთების, ფაშისტური სომხური ბურჟუაზიის და მენშევიზმის იდეოლოგიის წინააღმდეგ.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს, რომ გაზ. „პროლეტარ"-ი უნდა ეცადოს, რომ მისი მუშკორებისა და გლეხკორების ყველა შენიშვნებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ყველა ჩვენი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, რომ უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს მისმა მასიურმა მუშაობამ, რომ იგი გადაიქცეს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ ლენინურ იარაღად საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრების საქმეში—გაშლილი ლენინური თვითკრიტიკის ლოზუნგით, ამასთან სათავეში უნდა ჩაუდგეს ფართო მასების შემოქმედებით აღფრთოვანებას, მაღლა ასწიოს სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის დროშა ჩვენი პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის სწორად გატარების საფუძველზე.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. სუხიშვილი.

საქ. ცაკისაგან

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ცაკი მხურვალედ მიესალმება „პროლეტარ"-ს მისი მეათასე ნომრის გამოსვლის დღეს.

„პროლეტარ"-მა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სომეხ მშრომელთა ფართო მასების მებრძოლ ლენინურ ორგანოს და, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საბოლოო გამარჯვებისა და ნაციონალურ უმცირესობათა კულტურული და ეკონომიური დონის ამაღლებისათვის, საგრძნობი დახმარება გაუწია ჩვენს ქვეყანას სოციალისტური მშენებლობის ძირითადი საკითხების ირგვლივ მშრომელი მასების შემჭიდროების საქმეში.

„პროლეტარი" შემდეგში უნდა სარგებლობდეს უფრო მეტი მხარის დაჭერით და ყურადღებით ყველა ჩვენი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მხრით.

საქართველოს ცაკი, რომელიც „პროლეტარს" აგრეთვე თავის ორგანოდ აცხადებს, დარწმუნებულია, რომ იგი შემდეგში შესძლებს უფრო მეტი აქტივობით და ბოლშევიკური შეურიგებლობით განაგრძოს ბრძოლა მასების ინტერნაციონალური ლენინური აღზრდისათვის, ყველა ცხოვრების მშრომელთა ძმური სოლიდარობისათვის, დიდმპყრობელური და ადგილობრივი შოვინიზმის წინააღმდეგ, მენშევიზმ-დაშნაკიზმის წინააღმდეგ, კულაკობის და მისი აგენტების, მავნებლების და ბიუროკრატების წინააღმდეგ, ჩვენი კლასობრივი ხაზის ყოველგვარი გადამახინჯების წინააღმდეგ, და გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით ქვეშ ბოლშევიკურ დახმარებას გაუწევს ყველა ჩვენს ორგანიზაციებს ნამდვილი საბჭოთა მუშაობის გატარების საქმეში საბჭოთა მთავრობის დირექტივების და კომპარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე, განსაკუთრებით ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ყველა დავალებათა შესრულების ფრონტზე როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში.

საქართველოს ს.ს.რ. ცაკის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

საქართველოს ს.ს.რ. ცაკის მდივანი — თოდრია.

გაზ. „კომუნისტი"-საგან

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქცია, თანამშრომლები და მუშგლეხკორები მხურვალე ძმურ სალამს უძღვნიან მათ მედგარ თანამოძმეს ბეჭდვითი სიტყვის ფრონტზე გაზ. „პროლეტარს".

სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდი საბჭოთა პრესას უაღრესად დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს აკისრებს. საბჭოთა გაზეთი უნდა წარმოადგენდეს მასების კოლექტიურ ორგანიზატორს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. გაზეთი უნდა იყოს მშრომელი მასების შემოქმედებითი უნარის და შრომის ენტუზიაზმის მებრძოლი თაოსანი. საბჭოთა გაზეთი უნდა იყოს ინტერნაციონალური აღზრდის უბასრესი იარაღი.

გაზეთი „პროლეტარი" გმირულად იბრძოდა თავისი ათასი ნომრის ფურცლებზე ამ ამოცანებისათვის. გაზეთი „პროლეტარი" ბოლშევიკური სიმტკიცით უტევდა ყოველგვარ ნაციონალიზმს—დაშნაკიზმს, მენშევიზმს და მუსავატიზმს. „პროლეტარმა" სომხური გაზეთისათვის საქართველოში არაჩვეულებრივი დიდი ტირაჟით დაამტკიცა რომ ის სწორად გამოხატავს პარტიის მისწრაფებას და, მაშასადამე, მშრომელი მასების მისწრაფებასაც, რომ ის უდრეკად სდგას ლენინიზმის პრინციპების საგუშაგოზე და მედგრად ებრძვის ყოველი სახის გადახვევას პარტიის გენერალური ხაზისაგან.

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატის ერთ-ერთ საუკეთესო მებაირახტრე „პროლეტარს".

„კომუნისტი".

ცვლილება საამქ. საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობაში

საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილების საფუძველზე საქვ. საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ბ. კვირკველია განთავისუფლებულ იქნას თავისი თანამდებობიდან.

„საქართველოს ჩაი"-ს გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ალ. კაჭარავა.

„საქართველოს ჩაი"-ს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განყოფილების გამგე ამხ. ვ. პრიხოდკო მოხსნილ იქნა თავის თანამდებობიდან, როგორც საქმისათვის შეუფერებელი.

საქმე შემოდგომის თესვის კამპანიის ჩაშლის შესახებ საბჭოთა მეურნეობებში გადაეცა გამოსარკვევად საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

წინა ხუთდღიურთან შედარებით თებერვლის პირველ ხუთდღიურში სიმინდის დამზადება შემცირდა 10.000 ცენტნერით

დავრაზმოთ მთელი ძალები, უახლოეს დღეებში უზრუნველვყოთ სიმინდის დამზადების გეგმის მთლიანად შესრულება

სიმინდის დამზადების გეგმა უახლოეს დღეებში უნდა შესრულდეს

თებერვლის პირველ ხუთდღიურში სიმინდის დამზადება საგრძნობლად გაუარესდა. პირველიდან 5 თებერვლამდე სათესლო სესხის ჩათვლით დამზადებული იქნა მხოლოდ 10.905 ცენტნერი სიმინდი, მაშინ, როდესაც 25 იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე დამზადდა 21.167 ცენტნერი.

არის მთელი რიგი რაიონები, სადაც დამზადების ტემპი მკვეთრადაა ჩამორჩენილი, ეს რაიონები უმთავრესად შემდეგია: აბაშა ქუთაისი და სენაკი. აბაშის რაიონმა დამზადების გეგმა 5 თებერვლისათვის შეასრულა მხოლოდ 42,9 პროცენტით, ქუთაისის რაიონმა 51 პროცენტით და სენაკის რაიონმა 58,2 პროცენტით. დამახასიათებელი ისაა, რომ აბაშის — ქუთაისის რაიონებმა უკანასკნელ ხუთ დღიურში დამზადების ტემპი შეამცირეს: აბაშის რაიონში 25 იანვრიდან პირველ თებერვლამდე დამზადდა 2.035 ცენტნერი სიმინდი, პირველიდან 5 თებერვლამდე კი 1.072 ცენტნერი: ქუთაისის რაიონში 25 იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე დამზადდა 545 ცენტნერი სიმინდი, ხოლო პირველიდან 5 თებერვლამდე 317 ცენტნერი.

ამასთანავე არის რაიონები, რომელთაც გეგმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს, ეს რაიონებია: ყვარელი, საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, გორი და ჭიათურა. ამ გამარჯვების მიღწევა შესაძლებელი გახდა ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მემარჯვენე - „მემარცხენე" ოპორტუნისტულ გადახრასთან და კულაკურ ელემენტებთან დაუნდობელი და სისტემატიური ბრძოლის პირობებში. ზემოხსენებულმა რაიონებმა დამზადებაში თავიდანვე დამკვრელი ტემპები აიღეს და დამკვრელი ტემპებითვე დაამთავრეს კამპანია.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთმა რაიონებმა, რომელნიც ჩამორჩენილნი არიან სიმინდის კამპანიაში, არ მიიღეს გადამჭრელი ზომები მოცემული გეგმის დროზე შესასრულებლად.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ შენიშვნებიდან რომელიც სამტრედიის რაიონის ზოგიერთ სოფლებს შეეხება, სჩანს, რომ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული პრაქტიკა სიმინდის დამზადებაში ჯერ კიდევ არაა სავსებით აღმოფხვრილი: კულაკური მეურნეობის არა სავსებით გამოაშკარავება, მათგან მტკიცე დავალებების მიცემულ სიმინდის დაგვიანებით აკრეფა, მტკიცე დავალებების მიცემა საშუალო გლეხებისადმი და სხვ.—აი უმთავრესად ის დამახინჯებანი, რომელნიც ხელს უშლის და აბრკოლებს სიმინდის დამზადების ნორმალურ მიმდინარეობას.

გარდა ამისა, მთელმა რიგმა რაიონებმა დაივიწყეს მისცეს სიმინდის დამზადების წარმატებისათვის ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა—სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, შეხვედრი გეგმის წამოყენება, წითელი ქარავნების მოწყობა და სხვ.

ამ მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. სიმინდის დამზადების ტემპები დაუყოვნებლივ უნდა გაუმჯობესდეს. ამ კამპანიას ხელი არ უნდა შეუშალოს არავითარმა გარემოებამ. ეს კამპანია მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიებს და უნდა მივიღოთ ყველა ზომები, რომ დამზადების ჩამორჩენილი ტემპები დაუყოვნებლივ გამოსწორდეს.

კულაკური და შეძლებულ მეურნეობების მთლიანად გამომჟღავნებასთან ერთად მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ იმ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად, რომელიც მდგომარეობს ღარიბ და საშუალო გლეხებისათვის მტკიცე დავალებების მიცემის ცდაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე სესხად გაცემულ სიმინდის შეგროვებას. ამ საკითხს დღემდე თითქმის ყველა რაიონებში არა სერიოზულად ეკიდებიან, რაც უდიდეს შეცდომას წარმოადგენს. სათესლე სესხად გაცემულ სიმინდის შეგროვება უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს.

ფართოთ უნდა გაიშალოს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა; ამ საქმიდან განდევნილი უნდა იქნას ყოველგვარი ფორმალიზმი და ეს მეთოდები უნდა გადაიქცეს დამზადების გეგმის შესრულებაში სოფლის მშრომელი მასების აქტიურად ჩაბმის ძირითად საშუალებად. ფართოდ უნდა გაიშალოს აგრეთვე წითელი ქარავნების მოწყობის პრაქტიკა, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები გამოიღო.

საჭიროა მთელი ძალების დარაზმვა და შეუნელებელი ბრძოლა სიმინდის დამზადების გეგმის უახლოეს დღეებში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ირ.

ოპორტუნიზმი გადაჭრით უნდა იქნეს აღკვეთილი

(წერილი სამტრედიიდან)

სიმინდის დამზადების კამპანიაში ჯერ კიდევ არ მომხდარა საჭირო გარდატეხა. კულაკური და შეძლებული მეურნეობანი მთლიანად არ არიან გამოაშკარავებულნი, ადგილი აქვს ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგების მიერ კულაკების დაფარვას. აი ფაქტები: კულაშის თემში პარტიის წევრი არველაძე მოითხოვს კულაკების და შეძლებულების მტკიცე დავალებისაგან განთავისუფლებას. ამავე სოფელში პარტიის წევრი პატარაძე ასე მიმართავს შეძლებულებს: „შეძლებულ გლეხებისადმი მტკიცე დავალების მიცემა სიმინდზე და ხორბალზე სწორი არ არის და ის არ შესრულდება". მეორეს მხრივ ჭაგანის უბანში პარტიის წევრებმა (ნუცუბიძე და მშვილდაძემ) ღარიბ გლეხებს მისცეს მტკიცე დავალება.

ნაფალაურის უბანში კულაკი ო. ნინუას აქვს შენობები, აქვს სამი თვალიანი წისქვილი, სარგებლობს დაქირავებული შრომით და აქვს კულაკის ყველა ნიშნები, ღარიბ და საშუალო გლეხებმა თავიანთ კრებაზე მოითხოვეს ო. ნინუას კულაკთა სიაში შეტანა, მაგრამ ეს რატომღაც ვერ მოხერხდა. კულაკი ნინუა გაიძახის: „მე ჩემი კაცი მყავს და თქვენისთანა ვიგინდარებს ჭკუა უნდა ვასწავლოო". ამის შემდეგაც უბანზე მიმაგრებულ ამხანაგს წინადადებას აძლევენ, რომ ნინუა არ შეიტანონ კულაკთა სიაში.

